ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## მოსამართლეებმა რუსთავი 2-ის ადვოკატები პროცესიდან გააძევეს

გვ.7

შაბათი – კვირა, 4 – 5 ივნისი, 2016 №131 (7057) ფასი: 50 თეთრი

# თამარ სანიკიძის თანამდებობა სააკაშვილმა შეიწირა?

## რა მოხდა ბათუმში მაისის ბოლოს



გვ.3

## მიხეილ მაჭავარიანი: „თამარ სანიკიძე ივანიშვილის მოთხოვნით გადააყენეს“

გვ.2



„ხადური რომ გყავს მთავრობაში, იქ სხვა მინისტრი როგორ უნდა შეცვალო“

## სანდრო ბრეგაძე: „ბოკერიამ 100%-ით შეუსრულა ხელისუფლებას“



გვ.4

„კორცხელზე პასუხისმგებლობა კვირიკაშვილმა უნდა აიღოს“

## კარლო კოპალიანი: „ძველი ბიჭები რომ ვყოფილიყავით, ნაციონალებს საშინელ დღეში ჩავაგდებდით“



გვ.2

„ჯი ბატონო, ჯუნთმაგაhი ხალხიც გვყავს ღა ჩემპიონებიც, მაგhამ, hამღენიმე გამონაჯლისის გაhღა, გინახავთ, hომ ჩვენ ჩხუბი ღაგვეწყოს? მოძველბიჭოები hომ ვყოფილიყავით, ნაციონალებს მაhთლა საშინელ ღღეში ჩავაგღებღით. საზოგაღოება სწოhეღ იმიტომ გვსაყვეღუhობს, hომ მათ საჯაღhისი პასუხი აh გავეცით. ხშიhაღ ჩვენც გვინღოღა მათთვის საჯაღhისაღ გვეპასუხა, მაგhამ ყოველთვის ვიხსენებღით, hომ პაhლამენტში ვიყავით, საღაც მუშტი-ჯhივი აh შეიძლება"

## კახა კოჟორიძე: „უსამართლო მოსამართლე სისტემის მსხვერპლი არ არის“





გვ.4

## რატომ ჩივიან არასამთავრობოები



გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## მამუკა ცუსკაძე: „ტუბერკულოზის ნემსებს ციხეში ძალით მიკეთებდნენ“



გვ.5

„ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს“

# კარლო კოპალიანი: „ძველი ბიჭები რომ ვყოფილიყავით, ნაციონალებს საშინელ დღეში ჩავაგდებდით“

შორენა მარსაგიშვილი



**დაიწყო თუ არა მმართველი გუნდისა და პრეზიდენტის დაპირისპირების ახალი ეტაპი, რას ნიშნავს ამერიკის ელჩის განცხადება, ჰყავთ თუ არა პარტიაში ძველი ბიჭები და ტოვებს თუ არა „ქართულ ოცნებას", ამის შესახებ „ახალ თაობას" საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი კარლო კოპალიანი ესაუბრება.**

***— უკვე დადასტურდა, რომ „ქართულ ოცნებას“ რამდენიმე წევრი დატოვებს. გავრცელებული ინფორმაციით, წამსვლელთა შორის ხართ თქვენც. მართლა აპირებთ პარტიიდან წასვლას?***

— ეს კითხვა უკვე დამისვა რამდენიმე ჟურნალისტმა და ძალიან მიკვირს, საიდან გავრცელდა ასეთი ინფორმაცია. არც სოციალურ ქსელებში და არც სხვაგან არსად მითქვამს, რომ „ქართულ ოცნებას“ ვემიჯნები. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იქიდან წამოსვლა ჩემი მხრიდან ღალატის ტოლფასი იქნება.

***— რატომ იქნება ღალატის ტოლფასი?***

— მე ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ და არაა ლამაზი, როცა პარტიას მისი დამფუძნებელი ტოვებს.

***— თუ პარტიაში რაღაც დაპირისპირებაა და, როგორც ამბობენ, „ოცნებაში“ მართლა არის დაპირისპირება, მაშინაც ღალატის ტოლფასია პარტიიდან წასვლა?***

— ისევე, როგორც ყველა პარტიაში, ჩვენთანაც არის რაღაც თემებზე აზრთა სხვადასხვაობა. ამის გულისთვის არ უნდა გაიქცე. პირიქით, მაგრად უნდა დადგე და ყველაფერი გააკეთო იმისთვის, რომ პარტიიდან შემთხვევითი ხალხი და მიტმასნილები გააქციო.

პარტიების გამოცვლაც არ არის ლამაზი საქციელი. ჩვენს პოლიტიკაში ძალიან ბევრია ისეთი ადამიანი, რომელსაც თითქმის ყველა პარტია აქვს მოვლილი. მე ასეთ კატეგორიას არ მივეკუთვნები. კი მაძახებენ ნაციონალები, კომპარტიის წევრი იყავიო, მაგრამ იმ დროს ყველა ამ პარტიის წევრი იყო.

***— თქვენ რესპუბლიკელებთანაც ხომ იყავით?***

— რესპუბლიკელებთან ვიყავი, მაგრამ არასდროს ვყოფილვარ რესპუბლიკელი. 2008 წლის არჩევნებისთვის ასეთი წესი იყო, რომ აუცილებლად პარტიას უნდა წარედგინა შენი კანდიდატურა მაჟორიტარად. მათ მხოლოდ წარმადგინეს, არჩევნები დამოუკიდებლად მოვიგე ცაგერის რაიონში და რადგანაც პარტიისგან თავისუფალი ვიყავი, პარლამენტში შესვლის გადაწყვეტილება მივიღე. იმ წელს ოპოზიციის ნაწილმა მანდატები დაჭრა. ახლაც ვთვლი, რომ მაშინ სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

***— წარსულიდან აწმყოში გადმოვიდეთ. პრეზიდენტსა და „ქართულ ოცნებას“ შორის დაპირისპირების ახალი ეტაპი დაიწყო?***

— ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები. პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი და მთელი მთავრობა, ასევე საპარლამენტო უმრავლესობა კონსტრუქციულად ვთანამშრომლობთ გიორგი მარგველაშვილთან.

***— გიორგი მარგველაშვილმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებაში“ მოძველბიჭო ელემენტები არიან. არც ეს გაამწვავებს თქვენ შორის ურთიერთობას? ადრე უმრავლესობა მის ყველა განცხადებაზე მკვეთრად რეაგირებდა.***

— ეს განცხადება პრეზიდენტმა კორცხელში მომხდარი ინციდენტის შეფასებისას გააკეთა. ეს მთლად კორექტული განცხადება არ იყო, ეს არც უმრავლესობის სხვა წევრებს მოეწონათ, მაგრამ ჩვენ კვლავ კონსტრუქციული თანამშრომლობის რეჟიმში ვრჩებით.

***— მოძველბიჭო ელემენტები რომ ახსენა პრეზიდენტმა, თქვენი აზრით, ვინ ჰყავდა მხედველობაში?***

— აბა, რა გითხრათ, პრეზიდენტის გულში არ ვზივარ და არ ვიცი, ვისზე საუბრობს. როცა ასეთ განცხადებას აკეთებდა, ჯობდა დაეკონკრეტებინა, ვინ ჰყავდა მხედველობაში.

***— ისე, თქვენ როგორ ფიქრობთ, არიან თქვენს პარტიაში მოძველბიჭოები?***

— ჩვენს პარტიაში ნამდვილად არ არის ისეთი ხალხი, რომლებიც კუნთებზე იყურებიან.

***— კუნთებზე შესაძლოა არ იყურებიან, მაგრამ ბევრი კუნთმაგარი ნამდვილად გყავთ პარტიაში.***

— კი ბატონო, კუნთმაგარი ხალხიც გვყავს და ჩემპიონებიც, მაგრამ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, გინახავთ, რომ ჩვენ ჩხუბი დაგვეწყოს? მოძველბიჭოები რომ ვყოფილიყავით, ნაციონალებს მართლა საშინელ დღეში ჩავაგდებდით. საზოგადოება სწორედ იმიტომ გვსაყვედურობს, რომ მათ საკადრისი პასუხი არ გავეცით. ხშირად ჩვენც გვინდოდა მათთვის საკადრისად გვეპასუხა, მაგრამ ყოველთვის ვიხსენებდით, რომ პარლამენტში ვიყავით, სადაც მუშტი-კრივი არ შეიძლება.

ამ 4 წლის განმავლობაში ჩვენ მათგან ისეთი შეურაცხყოფა მოვითმინეთ, რომელთა მოთმენაც წარმოუდგენელია. იმდენად უნამუსო ხალხია, გამოდიოდნენ და ჩვენ გვაბრალებდნენ იმას, რაც თავად ჰქონდათ ჩადენილი. ეს ურცხვები გვაბრალებდნენ, პატიმრებს აწამებთ და პოლიტიკურ ოპონენტებს დევნითო. მოძველბიჭოები რომ ვიყოთ, ნაციონალების ასეთი განცხადებების შემდეგ პარლამენტიდან სხვა დაწესებულებაში მოხვდებოდნენ.

იყო ისეთი მომენტებიც, როცა თავი ველარ გავაკონტროლეთ, მაგრამ დედას რომ შეგაგინებს ვინმე, ამაზე პასუხი აუცილებლად უნდა გასცე. აქ უკვე მნიშვნელობა არა აქვს, პარლამენტში იქნები თუ სადმე სხვაგან. კაკო ბობოხიძემ საჯაროდ შეგვაგინა დედა და კარგი ვქენით, რომ პასუხი გავეცით. ძველი ბიჭები რომ ვყოფილიყავით, კაკო ბობოხიძე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერ ადგებოდა საწოლიდან.

ასე რომ, ნამდვილად ვერ გავიზიარებ პრეზიდენტის შეფასებას და არც კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით გამოთქმულ სხვა მოსაზრებებში არ ვეთანხმები.

***— რაში არ ეთანხმებით, რომ კორცხელში ძალადობა მოხდა?***

— კორცხელში ძალიან ცუდი რამე მოხდა, მაგრამ ამ ფაქტზე რამდენიმე პირს წაუყენეს ბრალი. ნაციონალების მმართველობის დროს ასეთი საქმეებისთვის ხალხის აჯილდოებდნენ.

მე ვითხოვ, რომ ეს საქმე თავიდან ბოლომდე იქნეს გამოძიებული და ყველა ის პირი დაისაჯოს, რომლებმაც ეს პროვოკაცია მოაწყვეს. ეს იყო ნაციონალების მიერ კარგად დაგეგმილი პროვოკაცია, რომელსაც, სამწუხაროდ, წამოვეგეთ. ჩვენ უნდა გვცოდნოდა, რომ გიგა ბოკერია იქ შემთხვევით არ ჩავიდოდა და არც ნიკა მელიას გამოჩენა იყო შემთხვევითი.

მელიამ იქ გინება დაიწყო და ვიღაცას ნერვებმა უმტყუნა. გიგა ბოკერიამ კი სპექტაკლი დადგა. ეს ნათლად ჩანს კადრებიდან. ოპერატორები ისე დააყენეს, რომ ძირს დავარდნილი და დასისხლიანებული ბოკერია კარგად დაეფიქსირებინათ. როგორც კი ის დაბლა დაეცა, ოპერატორებს დერეფანი გაუკეთეს და მისი გადაღების საშუალება მისცეს. კადრებში კარგად ისმის ყვირილიც — დროზე გადამიღეთო. გამოძიებამ ამ კუთხითაც უნდა იმუშაოს. ცუდია, რომ პროვოკაციაზე წამოვეგეთ, მაგრამ მეორე მხარეც დამნაშავეა.

ახლა ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ამ ინციდენტით საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მიიქციონ. მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს, ამერიკის ელჩმაც გამოხატა შეშფოთება. ამერიკის ელჩის მიერ გაკეთებული განცხადებით ჩვენც შეშფოთებული ვარ. მხედველობაში რუსთავი 2-თან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება მაქვს. რატომღაც მგონია, რომ მას ასეთი მკვეთრი შეფასებები არ გაუკეთებია და მისი განცხადება არასწორად იყო ნათარგმნი. ამერიკა ჩვენი მეგობარი ქვეყანაა და არა მგონია, მეგობარი ქვეყნის ელჩმა ხალხს სასამართლოს გადაწყვეტილებების დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდოს.

# მიხეილ მაჭავარიანი: „თამარ სანიკიძე ივანიშვილის მოთხოვნით გადააყენეს“

## „ხადური რომ გყავს მთავრობაში, იქ სხვა მინისტრი როგორ უნდა შეცვალო“

შორენა მარსაგიშვილი



**რატომ შეცვალეს მოულოდნელად განათლების მინისტრი, შეიცვლება თუ არა საარჩევნო კოდექსი, რა გზა აირჩიეს გირჩებმა, როგორ შემცირდა ღარიბების რაოდენობა? — ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი ესაუბრება.**

***— 3 ივნისს საქართველოს მთავრობაში მორიგი საკადრო ცვლილება განხორციელდა და პრემიერმა თამარ სანიკიძე შეცვალა. ცვლილებებს ყველა ელოდა, მაგრამ განათლების მინისტრის შეცვლას — არავინ. თქვენი აზრით, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება პრემიერმა?***

— მეხი გასკდა სრულიად „ქართული ოცნების“ ცაზე და ვერავინ გაიგო, სინამდვილეში რა მოხდა. ოფიციალური განმარტება მოხსნის მიზეზთან დაკავშირებით არ გაკეთებულა, სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ჭორებზე კი საუბარი არ მინდა. ერთადერთი, რაშიც დარწმუნებული ვარ, ისაა, რომ ეს გადაწყვეტილება გიორგი კვირიკაშვილს არ მიუღია. ამაში ბიძინა ივანიშვილის ხელი ურევია.

***— რატომ შეაჩერა მან არჩევანი თამარ სანიკიძეზე? ერთ-ერთი ვერსიით, ამ ცვლილებით კორცხელის ინციდენტის გადაფარვა სურდათ.***

— ამ გადაწყვეტილებას ალბათ რაღაც პროცესები უძღოდა წინ, ასე უცბად ამ გადაწყვეტილებას არავინ მიიღებდა. განათლების სფეროში მართალია იყო პრობლემები და თამარ სანიკიძის მიმართ ჩვენც გვქონდა პრეტენზიები, მაგრამ როდესაც მთავრობაში გყავს ნოდარ ხადური, იქ სხვა მინისტრი როგორ უნდა შეცვალო, არ მესმის.

***— იქნებ მართლა კორცხელის ინციდენტის გადასაფარად მოხდა ეს ცვლილება?***

— მოდით, ჯერ იმაზე შევთანხმდეთ, რომ ეს იყო დარბევა და არა ინციდენტი. ყველამ კარგად ვიცით ისიც, რომ ეს ადამიანები სპეციალურად ემზადებოდნენ და როცა დრო დადგა, წავიდნენ ზუგდიდში. სამეგრელოში ისინი 9 მანქანით გაემგზავრნენ. ისინი იქ ამირან ლაგვილავას აგიტაცია-პროპაგანდისთვის არ წასულან. მთავარი პრობლემა ისაა, რომ ეს დარბევა იყო დავალება. ასეთი ჯგუფები ჰყავდათ წაყვანილი წყალტუბოშიც, კასპშიც და გურიაშიც.

***— თუ დარბევა ჰქონდა ამ ჯგუფებს დავალებული, სხვა რაიონებში რატომ არავინ გაილახა?***

— იმ რაიონებში „ქართული ოცნების“ რომელიღაც ლიდერი მაინც იმყოფებოდა. მათ თავის თავზე ჰქონდათ პასუხისმგებლობა აღებული. ზუგდიდში კაციშვილი არ იყო, ეს ზონდერები მიუშვეს თავის ნებაზე და უთხრეს, იმოქმედეთო. ამათაც რაც იცოდნენ, ის გააკეთეს — იჩხუბეს. მომხდარზე პასუხი უნდა აგოს კახა კალაძემ. ეს ჯგუფი მის მიერ არის მომზადებული. ასე რომ, სანიკიძის გადაყენება კალაძის ამბავს ვერ გადაფარავს.

ცხადია, ამ თემის მიჩუმათებაც სურთ და ამიტომ წარუდგინეს 6 კაცს ბრალი. ეს საკმარისი არ არის. იქ ძალიან ბევრი ადამიანი ჩხუბობდა. არც გირაო მიმაჩნია საკმარისად. გავიხსენებ ერთ საინტერესო ამბავს.

გასულ წელს რუსთავი 2-ის მხარდამჭერი აქციები იმართებოდა. ახალგაზრდებმა აქცია ქუთაისის პარლამენტთანაც გამართეს. დეპუტატის პიჯაკის დაზიანების მცდელობისთვის იქ 3 პირი დააკავეს და აღმკვეთის სახით პატიმრობა შეეფარდათ. ის ბიჭები 3 თვე ისხდნენ პიჯაკის დაზიანების მცდელობისთვის. ჩვენმა თანამებრძოლებმა სერიოზული დაზიანებები მიიღეს, მაგრამ ამისთვის დამნაშავეებს გირაო აკმარეს.

თამარ სანიკიძის გადაყენების მიზეზებზე ვსაუბრობთ და მას საზოგადოებრივ მაუწყებელზე გასულ ინტერვიუსაც უკავშირებენ. ეტყობა, ძალიან გაბრაზდა ივანიშვილი და ვიღაცაზე იყარა ჯავრი.

ინტერვიუც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა იმ თვალსაზრისით, რომ ივანიშვილმა ყველაფერზე ისაუბრა, გარდა მთავარი გამოწვევებისა. მას საერთოდ არ აინტერესებს, ჩვენს მოქალაქეებს ასე ძალიან რომ უჭირს.

***— ვიცე-პრემიერ ქუმსიშვილის მტკიცებით, სიღარიბეში მყოფი ადამიანების რიცხვი 500.000-მდე შემცირდა.***

— სიღარიბეში მცხოვრებთა რაოდენობა კი არ შემცირდა, ამ მთავრობამ სოციალურად დაუცველთა ბაზიდან ამოყარა ხალხი. აბა მიმოვიხედოთ ჩვენ გარშემო, ვისი ცხოვრების დონე გაუმჯობესდა? ყველაფერი უარესო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თამარ სანიკიძის თანამდებობა სააკაშვილმა შეიწირა?

## რა მოხდა ბათუმში მაისის ბოლოს



**3 ივნისს პრემიერმა კვირიკაშვილმა განათლების მინისტრი თამარ სანიკიძე მოხსნა, ახალ მინისტრად კი ალექსანდრე ჯეჯელავა წარადგინა.**

— მინდა წარმოგიდგინოთ ალექსანდრე ჯეჯელავა, რომელიც გახლავთ ძალიან გამოცდილი ადამიანი, 20 წელზე მეტი გამოცდილებით მართვის სფეროში. მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შემდეგ უკვე იესემის ბიზნეს სკოლა.

მას აქვს ძალიან დიდი გამოცდილება როგორც საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, ასევე ინოვაციისა და განათლების სფეროში კონკრეტულად იმ მიმართულებით, რომელიც მთლიანად ეხმიანება ჩვენი 4-პუნქტიანი პროგრამის მიმართულებებს, — განაცხადა სპეციალურ ბრიფინგზე ბ-ნმა პრემიერმა.

კვირიკაშვილის თქმით, ბოლო პერიოდის განმავლობაში მას არაერთი დისკუსია და მსჯელობა ჰქონდა ბ-ნ ჯეჯელავასთან და საჭიროდ ჩათვალა, რომ მისი კანდიდატურა წარედგინა განათლების მინისტრის პოსტზე.

პრემიერი ფიქრობს, რომ ჩვენ დღეს უკვე გვჭირდება განახლებული ხედვები განათლების სფეროს მომავალი განვითარებისთვის.

განათლების ახალმა მინისტრმა დაადასტურა პრემიერთან კონსულტაციები.

— განხილვის პროცესში ვიყავით რამდენიმე კვირის განმავლობაში. ამას პირდაპირი გაგებით შემოთავაზებას ვერ დავარქმევთ, რამდენიმე კვირის განმავლობაში ორმხრივი გადაწყვეტილების მიღების პროცესი მიმდინარეობდა. საბოლოო გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ მივიღეთ, — განაცხადა ბ-ნმა ჯეჯელავამ.

მან ხაზი გაუსვა, რომ უწყებაში საკადრო ცვლილებებს არ აპირებს, რადგან ამ ეტაპზე ამის საფუძველი არ არის.

— დროთა განმავლობაში, ისევე, როგორც ნებისმიერ ორგანიზაციას, ჩვენც გვინდა შემოგვიერთდეს საუკეთესო ხალხი, თუმცა არსებულ გუნდზეც მხოლოდ უმაღლესი შეფასება მაქვს, — დააზუსტა განათლების ახალმა მინისტრმა.

* * *

ალექსანდრე ჯეჯელავა ხელმძღვანელობდა საბანკო, საჯარო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციის პროექტებს. აქვს ექვსწლიანი გამოცდილება აკადემიურ სწავლებასა და პროფესიულ ტრენინგებში.

ამჟამად ალექსანდრე ჯეჯელავა არის თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე საინფორმაციო ტექნოლოგიების და ადამიანური რესურსების დარგში და ასევე ბანკის გამგეობის წევრი.

მანამდე ის იყო „გაერთიანებული გლობალური ტექნოლოგიების" გენერალური დირექტორის მოადგილე, ბიზნესის განვითარების დირექტორი ინტელექტბანკში; საქართველოს ეროვნული ბანკის აიტი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი; საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის, სომხეთის სახელმწიფო რეესტრის, ყირგიზეთის ნაციონალური ბანკის და სხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების კონსულტანტი.

ალექსანდრე ჯეჯელავას აქვს მათემატიკის მაგისტრის, ზოგადი მენეჯმენტის მაგისტრის და პროექტების მართვის პროფესიონალის წოდება.

* * *

განათლების ყოფილი მინისტრი თამარ სანიკიძე არ საუბრობს, სად გააგრძელებს საქმიანობას. როგორც სანიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ახლა მიმდინარეობს ახალი მინისტრისთვის გადაბარების პროცესი და მის სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია ამ პროცესის დასრულების შემდეგ ექნება.

— ძალიან ბევრი მიმდინარე საკითხია, რომელიც ეხება ახალ სასწავლო წელს, ასევე ამ პერიოდში მიმდინარეობს შესყიდვები, პირველ რიგში, ამაში ჩაერთვება ახალი მინისტრი, გადავაბარებთ ყველაფერს საფუძვლიანად, რომ საერთო საქმე არ დაზიანდეს.

დარწმუნებული ვარ, არავითარი ხარვეზი ამ მიმართულებებით არ გვექნება. გადაბარების პროცესს დავასრულებთ და მექნება უფრო მეტი ინფორმაცია ჩემს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებით, — განაცხადა ქ-ნმა სანიკიძემ.

ჟურნალისტის შეკითხვამ, მის გადადგომასთან ხომ არ არის კავშირში ბიძინა ივანიშვილის 2 ივნისის ინტერვიუ ჟურნალისტ სალომე ასათიანთან, რომლის დაც სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელია, თამარ სანიკიძე გააღიზიანა.

— საინტერესო იდეაა, მაგრამ ჯანსაღი ადამიანის გონებაში ასეთი იდეები არ უნდა იბადებოდეს. არანაირი კავშირი ამას არ აქვს, — განაცხადა სანიკიძემ.

* * *

— ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ სანიკიძე ვიხილოთ საარჩევნო სიაში, საპენსიო ადგილზე, დავუშვათ, 30-ე ან 35-ე ადგილზე, — განუცხადა ექსპერტმა გია ხუხაშვილმა ინტერპრესნიუსს.

ექსპერტი გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომლის თანახმად, განათლების უკვე ყოფილი მინისტრი თამარ სანიკიძე გუნდში რჩება და უახლოეს პერიოდში საუბარი იქნება მის ახალ მანდატზე.

— საერთოდ, გუნდელების თავიდან მოშორება ხისტად არ შეიძლება. უფრო რბილი მეთოდებიც არსებობს. ამისთვის არსებობს სია, რომლის მეშვეობით შეიძლება ძალიან ბევრი „უმტკივნეულოდ" გაიყვანონ თამაშიდან, — აღნიშნა გია ხუხაშვილმა და დასძინა, რომ მოვლენების ლოგიკა ამაზე მეტყველებს.

მისივე შეფასებით, თამარ სანიკიძე საკმაოდ სუსტი ფიგურა იყო.

— განათლების სისტემაში ბევრი პრობლემა გვაქვს. განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში დაძაბულობის კერები შეიმჩნევა სხვადასხვა სასწავლებელში. უფრო აქტიური და ქმედითი, ეფექტური მენეჯმენტია საჭირო განათლების სისტემის როგორც ოპერატიულ საკითხებში, ასევე სისტემური რეფორმის თვალსაზრისით.

ვერ ვიტყვი, რომ თამარ სანიკიძე რამენაირად ასოცირდებოდა ან რაიმე რეფორმებთან, ან რაიმე ტიპის მენეჯმენტთან. ის საკმაოდ სუსტი ფიგურა იყო, — აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

რაც შეეხება სანიკიძის შემცვლელს, ხუხაშვილის თქმით, იგი ალექსანდრე ჯეჯელავას არ იცნობს და მის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს იტყვის.

* * *

ფრაქცია „ქართული ოცნების" წარმომადგენლების ინფორმაციით, განათლების მინისტრის თანამდებობიდან თამარ სანიკიძის გათავისუფლება მის საპარლამენტო არჩევნებში შესაძლო მონაწილეობას არ უკავშირდება.

აღნიშნულ საკითხზე ინტერპრესნიუსი უმრავლესობის რამდენიმე წევრს ესაუბრა, რომლებიც აცხადებენ, რომ მათ არანაირი ინფორმაცია არ აქვთ სანიკიძის „ქართული ოცნების" საარჩევნო სიაში შესაძლო ყოფნის შესახებ.

* * *

3 ივნისს ბათუმში ბრიფინგი გამართა აჭარის განათლების მინისტრის მოადგილემ, ვლადიმერ მგალობლიშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ცოტა ხნის წინ ბათუმში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, პედაგოგები მიხეილ სააკაშვილს სკაიპით გაესაუბრნენ.

— აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო მიუღებლად მიიჩნევს საგანმანათლებლო სისტემის პოლიტიზების მცდელობას. მიუღებელია ასეთი მეთოდით, კერძოდ, მოტყუებით, პედაგოგების გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის. მოვუწოდებთ ნაციონალურ მოძრაობას, მომავალში თავი შეიკავოს მსგავსი არასამართლებრივი და თაღლითური ქმედებებისგან და ვთხოვთ შესაბამის ორგანოებს, მოახდინონ რეაგირება, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს, — განაცხადა მინისტრის მოადგილემ.

2016 წლის 28 მაისს ბათუმში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, მარიამ რამინაშვილმა გამართა ტრენინგი, რომლის თემა იყო მასწავლებელთა პროფესიული გამოცდებისთვის მომზადება.

უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნაციონალური მოძრაობიდან ასმათ დიასამიძე წინასწარ დაუკავშირდა სხვადასხვა სკოლის პედაგოგებს და პირადად მიიწვია ტრენინგზე, რომელიც გაშუქდა მედიის მიერ.

მას შემდეგ, რაც მედიამ დატოვა საკონფერენციო დარბაზი, მონაწილეებს სკაიპით ჩაერთო მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც გააცნო პედაგოგებს ნაციონალური მოძრაობის ხედვები ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებისათვის და მოუწოდა მათ, 2016 წლის არჩევნებზე მხარი დაუჭირონ ნაციონალურ მოძრაობას.

სააკაშვილის ჩართვის შემდეგ, დარბაზში დამსწრე პედაგოგთა ნაწილმა პროტესტის ნიშნად დატოვა იქაურობა, რადგან თავი იგრძნეს შეურაცხყოფილად (როგორც შემდეგ თავად განაცხადეს სკოლის დირექტორებთან და სოციალურ ქსელში).

აი, რას აცხადებს ბათუმელი პედაგოგი მზიური დევაძე:

— 28 მაისს მეგობარმა დამირეკა, რომ მარიამ რამინაშვილი დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში 16:00 საათზე ატარებდა ტრენინგს გაკვეთილის დაგეგმვასთან დაკავშირებით. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში ანალოგიურ ტრენინგზე დარეგისტრირებული ვიყავი და გამიკვირდა, რატომ ელ.ფოსტაზე არ მივიღე შეტყობინება, მაგრამ რადგან გამოცდებამდე ცოტა დრო დარჩა, ჩავთვალე, რომ მასობრივი ტრენინგი ტარდებოდა, თანაც რამინაშვილის და წავედი. რამინაშვილს ვიცნობ როგორც საუკეთესო ტრენერს და მის პოლიტიკოსობაზე არც მიფიქრია.

ტრენინგზე 10 წუთის დაგვიანებით მივედი. აუდიტორიაში ქალბატონი ასმათ დიასამიძე შემომეგება და თავისუფალ ადგილზე მიმითითა. ვიცი, რომ ქალბატონი ასმათი ნაციონალური მოძრაობის წევრია, მაგრამ ისიც ვიცი, რომ განათლების კომიტეტშია და ქვეყნის კეთილდღეობაზე და განათლებაზე „ზრუნვას" პოლიტიკით თუ შეფუთავდნენ, არ მიფიქრია.

ქალბატონი მარიამი დეტალურად ხსნიდა გაკვეთილის დაგეგმვის ეტაპებს, ამ დროს მონიტორზე სკაიპით ჩართვის ღილაკი აციმციმდა და წინა რიგებში იგრიალა ტაშმა და აღტაცებამ „ჩაირთო, ჩაირთო"..... და რა ჩაირთო?!

ეკრანიდან ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ჩაგვერთო. ქალბატონებმა ამცნეს (აღტაცებული სახეებით) „ბატონო პრეზიდენტო!!! ბატონო მიშა კი არა, ბატონო პრეზიდენტო". ჩვენ აქ ქალაქ ბათუმის საჯარო სკოლის პედაგოგები შევიკრიბეთ თქვენთან შესახვედრად... და ა.შ.

ქალბატონ მარიამს ვუთხარი, რომ მე ამ მარაზმის მოსასმენად არ ვიყავი მოსული და დავტოვე აუდიტორია. სამწუხაროდ, ეს ყველაფერი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ვერ მოვიფიქრე, ის აღტაცებები მობილურით გადამეღო. ვხედავდი, რომ ვიღაცები იღებდნენ.

ძვირფასო მეგობრებო, ვინც ესწრებოდით ნაციონალების დადგმულ ამ შოუს, ჩემსავით აღშფოთდით და თუ გაქვთ იმ დღის ვიდეომასალა გთხოვთ, კომენტარებში ატვირთოთ.

არსებობს მოსაზრება, რომ თამარ სანიკიძის თანამდებობა ამ ამბავს შეეწირა.

# მიხეილ მაჭავარიანი: „თამარ სანიკიძე ივანიშვილის მოთხოვნით გადააყენეს"

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბისკენ მიდის. ამაზე კვლევებიც მეტყველებს.

***— კვლევებს ხელისუფლება არ ენდობა.***

— პოლიტიკურ რეიტინგებს რომ არ ენდობიან, ეგ გავიგე, მაგრამ ადამიანები როცა ნომერ პირველ პრობლემად უმუშევრობას ასახელებენ და ამის საპასუხოდ მთავრობა ამბობს, უმუშევართა რიცხვი რეკორდულად შემცირდაო, ეს ადეკვატურია? ნომერ მეორე პრობლემად სწორედ სიღარიბე სახელდება. მათი რაოდენობა როგორ შეამცირეს, უკვე გითხარით. „გამდიდრებულთა" რაოდენობა შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს.

***— რატომ ამოიღეს ეს ხალხი სოციალურად დაუცველთა ბაზიდან?***

— იმიტომ, რომ ფული არ ჰყოფნიდათ. ახლაც ჯანდაცვის ხარჯები იმაზე მეტია გახარჯული, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ეს იმიტომ ხდება, რომ მენეჯმენტი არ უვარგათ.

***— მოდით, სხვა თემაზეც ვისაუბროთ. საარჩევნო კანონში ცვლილებებს კატეგორიულად ითხოვდით, მაგრამ კომიტეტის სხდომაზე არ დაესწარით მის განხილვას. რა ხდება?***

— ჩვენ საპარლამენტო საქმიანობა დროებით შევაჩერეთ და ამის შესახებ საჯაროდ გვაქვს განცხადება გაკეთებული. საკომიტეტო მოსმენაზე ჩვენს ყოფნა-არყოფნას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს ხელს არავის უშლიდა, საკითხი პლენარულ სხდომაზე გაეტანათ.

***— არსებობს ვარაუდი, რომ თქვენ, „ქართული ოცნების" მსგავსად, გაწყობთ არსებული მოდელი და ამიტომ აღარ მონაწილეობთ საკითხის განხილვაში.***

— ჰი. ჰი, ჰი! არსებული მოდელი როგორ უნდა გვაწყობდეს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თვლა ვიცით. არც გერმანული მოდელი არის იდეალური, მაგრამ არსებულს ნამდვილად სჯობია. ისე, არსებული მოდელი იმ პარტიის მიერაც არის მიღებული, რომელმაც ახლა გერმანული მოდელი წარმოადგინა.

***— რესპუბლიკელებზეა საუბარი?***

— იმათზე, ვინც 2015 წელს მხარი დაუჭირა ცვლილებებს და ახლა ამბობს, აღარ ვარგაო. ჩვენ ეს ცვლილებები გავასაჩივრეთ საკონსტიტუციო სასამართლოში. სასამართლომ ჩვენი საჩივარი განსახილველად მიიღო და პირველი სხდომა უკვე 6 ივნისს გაიმართება.

***— კონკრეტულად რა გაასაჩივრეთ?***

— არსებული ანუ ქოცმოდელი გავასაჩივრეთ. დაველოდებით სასამართლოს გადაწყვეტილებას და ამის მიხედვით ვიმოქმედებთ. ჩვენ ვიცით, რომ ამ მოდელით არჩევნების ჩატარება არ შეიძლება. ეს მოდელი მხოლოდ „ქართულ ოცნებას" აწყობს, მაგრამ ვერც ამ მოდელით შეინარჩუნებენ ძალაუფლებას.

***— გირჩები ამბობენ, რომ თქვენ ხელისუფლების შეცვლის რესურსი არ გაქვთ.***

— გირჩები ბოლო დროს ბევრ რამეს ამბობენ. მათთან ყველაფერზე დებატები შეუძლებელი იქნება.

***— გირჩების ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ პეტრე ცისკარიშვილთან გამართულ ტელედებატებში განაცხადა, რომ მათთან დებატებისა გეშინიათ. ისიც თქვა, რომ ნაციონალური მოძრაობის ეკონომიკური პროგრამა მისი დაწერილია და დაამატა, რომ თქვენ უღალატეთ ბენდუქიძის პრინციპებს.***

— მე თავად არ მიყურებია ამ დებატებისთვის, მაგრამ ამბავი ვიცი. ძალიან არ მინდა ზურაბ ჯაფარიძეზე გულში გავივლო ის, რასაც ახლა ვიტყვი. გირჩებს თუ მეტი პრობლემა არა აქვთ ნაციონალებთან დაპირისპირების გარდა, ეს 2 რამეზე მეტყველებს. მათ დავალება აქვთ ასეთი, რომ ან ჩვენს ხმებზე უნდათ დაჯდომა, ანდა ისე უნდა მოიქცნენ, მაქსიმალური დაპირისპირება კი არ ჰქონდეთ ივანიშვილთან, არამედ მრავალპოლარული საარჩევნო კამპანიის წარმოჩენა სურთ.

რას ჰქვია, ბენდუქიძის პრინციპებს ვუღალატეთ, რეებს მიედ-მოედება და კინაღამ რაღაც წამომცდა კიდევ! ამ გუნდში იყო ბევრი ადამიანი, რომლებმაც თავისი წვლილი შეიტანეს ეკონომიკური პროგრამის შექმნაში. გუნდში დღემდე სხვადასხვა ხედვებია. პარლამენტში 2 საკანონმდებლო ცვლილება შევიტანეთ. ვითხოვდით მოგების გადასახადის გაუქმებას და დეკრიმინალიზაციას. ეს ცვლილება რომ შევიტანეთ, მაშინ ზურაც ჩვენთან ერთად იყო და ერთად ვმუშაობდით.

სასამართლოს რეფორმის საკითხებში ასევე თავიდან ბოლომდე იყო ჩართული პავლე კუბლაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ძმა კოტე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იყო. ბუნების დაცვის საკითხებზე თუ რამე გაჭაჭანდებოდა, ამ საქმეში გოგა ხაჩიძე ჩართული რომ იქნებოდა, ამაში ვინმეს ეჭვი ხომ არ ეპარება?

ახლა რა დაემართა ამ ზურაბ ჯაფარიძეს. მაგელანად გადაიქცა თუ ამერიკო ვესპუჩიდ და ამერიკა აღმოაჩინა? ან ვაშლი დაეცა თავში და ნიუტონი გახდა? არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ეკონომიკური პროგრამა მან დაგვიწერა, ან ვინმესთან დებატების გვეშინია.

***— ზურაბ ჯაფარიძემ ასეთი რამეც თქვა, ნაციონალები ჩვენს ანტიპიარს ეწევიან და ამბობენ, ჩვენგან ვინც წავიდა, ყველანი ჩათლ....ები არიანო. მართლა ასეთი სიტყვებით მოიხსენიებთ წასულებს?***

— პარტიიდან არიან წასულები, ამ ქვეყნიდან ხომ არა, მხოლოდ კარგი რომ უნდა ვილაპარაკოთ ან არაფერი? მოდით, მე ბევრს აღარ ვილაპარაკებ და მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მათ პოლიტიკურ მომავალს დიდი პერსპექტივა არა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან კარგი დაფინანსება აქვთ.

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კახა კოჟორიძე: „უსამართლო მოსამართლე სისტემის მსხვერპლი არ არის“

ნათია ხურცილავა

**გუშინ, 3 ივნისს, მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი კომიტეტის პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა.**

შეხვედრას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურისა და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრის დაწყებამდე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შეხვედრაზე დაიწყება მუშაობა მართლმსაჯულების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნაზე, რაც ნიშნავს გაგრძელებას მართლმსაჯულების რეფორმების შემდგომი ეტაპების დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და



მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, სასამართლო სისტემის რეფორმირების მესამე ტალღა ჭიანურდება. ნინო გვენეტაძე ამბობს, რომ მართლმსაჯულების რეფორმის მესამე ტალღის საბოლოო დასრულების შემდეგ რეფორმა გაგრძელდება და მუშაობა გაგრძელდება სტრატეგიაზე, რათა გაძლიერდეს არა მხოლოდ სასამართლოს, როგორც ინსტიტუციის დამოუკიდებლობა, არამედ კონკრეტული მოსამართლის ინდივიდუალური დამოუკიდებლობა.

**ნინო გვენეტაძე:**

– ვიმუშავებთ ასევე გადატვირთული სასამართლოსა და მოსამართლეთა განტვირთვის საკითხებზე, სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის პერსპექტივაზე, ასევე დისციპლინური სამართალწარმოების კუთხით ანგარიშვალდებულების მექანიზმის დახვეწაზე, ეთიკის ახალი სტანდარტების შექმნასა და ყველა საკითხზე, რომლებიც სასამართლოს წინაშე პრობლემურია.

შეხვედრას პრეზიდენტის იურიდიულ საკითხთა მრჩეველი კახა კოჟორიძეც ესწრებოდა.

**კახა კოჟორიძე:**



– თუ მოსამართლეები, რომლებიც უსამართლო გადაწყვეტილებებს იღებდნენ, მსხვერპლნი არიან, მაშინ საზოგადოება, რომელიც ამ მოსამართლეებთან კრიტიკულ პოზიციებსა და მიუღებლობას აფიქსირებს, გამოდის, რომ ეს საზოგადოება ჯალათია და ამ მსხვერპლთ ახლა ასეთ პოზიციებს უყენებს. მსხვერპლი უსამართლო გადაწყვეტილების მიმღები მოსამართლე კი არა, მოქალაქეა, რომელიც უსამართლო გადაწყვეტილებით დაზარალდა და ვერანაირი სისტემა ვერ გაამართლებს ვერცერთ მოსამართლეს ან რომელიმე სახელმწიფო მოხელეს უსამართლო გადაწყვეტილების მიღებაში.

პრეზიდენტის პრინციპული პოზიციაა, რომ მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის დროს აქცენტი გაკეთდეს პროფესიონალებზე, რომლებმაც სისტემის წნეხსაც გაუძლეს და ასეთები სისტემაში ნამდვილად არიან, თუმცა, თუ ასეთი მოსამართლეები სისტემაში ვერ მოიძებნა, სასურველია, ფსონი ახალ ადამიანებზე გაკეთდეს, რომლებიც ასევე პროფესიონალები არიან.

# რატომ ჩივიან არასამთავრობოები

ნათია ხურცილავა

**არასამთავრობო სექტორის პრეზიდენტის ვეტოსთან შენიშვნები აქვს, რადგან თვლის, რომ ის ვენეციის კომისიის შენიშვნების ადეკვატური არ არის.**

არასამთავრობოები მზად არიან, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში შესული ცვლილებები თავად საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრონ, თუმცა მანამდე მათ უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს, კონსტიტუციონალისტ ლევან ბოძაშვილს მოუსმინეს, რომელიც პრეზიდენტის იურიდიულ საკითხთა მრჩეველ კახა კოჟორიძესთან ერთად ვენეციის კომისიის წევრებთან იმყოფებოდა შეხვედრაზე.

გუშინ, 3 ივნისს გამართულ შეხვედრაზე ლევან ბოძაშვილმა განაცხადა, რომ თუ ვინმეს გასაჩივრების სურვილი აქვს, ამაში ის პრობლემას ვერ ხედავს. ის აცხადებს, რომ პრეზიდენტის შენიშვნების გათვალისწინებით საკონსტიტუციო სასამართლო უფრო ეფექტური გახდება.

კონსტიტუციონალისტი ვახუშტი მენაბდე კი აცხადებს, რომ პრეზიდენტის ვეტო სრულყოფილად არ იზიარებს იმ პრობლემებს, რომლებიც კანონპროექტს გააჩნია.

**ვახუშტი მენაბდე:**

– ერთი გზა არის დარჩენილი და ეს გზა მდგომარეობს შემდეგში, რომ არც პრეზიდენტის ვეტო გაიზიაროს პარლამენტმა და არც ძველი შენიშვნები დაამტკიცოს, ყველაფერი დარჩება ისე, როგორც არის. ეს ნაკლებ სავარაუდოა, თუმცა არსებობს კიდევ ერთი გზა. კანონი, როდესაც გამოქვეყნდება, გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში და შემდეგ უკვე კონსტიტუციური კონტროლის ორგანომ დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია შეთავაზებული ცვლილებების კონსტიტუციასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

პარლამენტის წევრები კი აცხადებენ, რომ პრეზიდენტის ვეტოს მხარდაჭერით კარგ პრეცედენტს შექმნიან. ამ ნაბიჯით ისინი კარგ პოლიტიკურ და სამართლებრივ პრაქტიკას ჩამოაყალიბებენ.



# სანდრო ბრეგაძე: „ბოკერიამ 100%-ით შეუსრულა ხელისუფლებას“

## „კორცხელზე პასუხისმგებლობა კვირიკაშვილმა უნდა აიღოს“

ნონა ცაბაძე

**კორცხელის ინციდენტი აქტუალურობას არ კარგავს. ინციდენტში მონაწილე სპორტსმენებს მუხლი დაუმძიმდათ. მათ დასჯას, ოპოზიციურ სპექტრთან ერთად, ამერიკის ელჩიც მოითხოვს. მოძრაობა ეროვნულების ლიდერი სანდრო ბრეგაძე კი მიიჩნევს, რომ შეშინებულმა ხელისუფლებამ ბიჭები გაწირა.**



***– ბატონო სანდრო, როგორც ცნობილია, სპორტსმენებს ბრალი დაუმძიმეს. ამბობენ, რომ ეს ზეწოლის შედეგად მოხდა. რა პროცესები მიმდინარეობს?***

– ეს არის ძალიან ცუდი პროცესები. გიგა ბოკერიამ და ნაციონალურმა მოძრაობამ 100%-ით შეუსრულა ხელისუფლებას. ფაქტობრივად, დღეს სახეზე გვაქვს შეშინებული ხელისუფლება, რომელიც მზად არის, გაწიროს უდანაშაულო ახალგაზრდები, სპორტსმენები, მხოლოდ იმის გულისთვის, რომ თავი გადაირჩინოს.

***– რომელ უდანაშაულობაზე საუბრობთ, როცა ცემა-ტყეპა გაიმართა?***

– ვერცერთი ქართველი ვაჟკაცი ვერ მოითმენს დედის შეგინებას. სწორედ ასე მოიქცნენ ნაციონალების პროვოკატორები. ნიკა მელიამ შეკრებილ ბიჭებს დედა შეაგინა და მან მშვენივრად იცოდა, რომ ამაზე მიიღებდა ადეკვატურ პასუხს. ეს ყველაფერი წინასწარ იყო განსაზღვრული და წინასწარ დადგმული სცენარით განხორციელდა. სააკაშვილის ლობისტებისაგან დაშინებული ხელისუფლება წირავს ამ ახალგაზრდებს და, ფაქტობრივად, უშვებს 7-წლიან პატიმრობაში.

***– მუხლი ზეწოლის შედეგად შეიცვალა?***

– რა თქმა უნდა, ეს იყო ზეწოლის შედეგი. პარლამენტში ამაზე უარესი მუშტი-კრივი არ გვინახავს? დაუსჯიათ ამისთვის ვინმე?!

***– პრეზიდენტის შეფასებებიც მოვისმინეთ, სადაც ის ამბობს, რომ ხელისუფლებაში მოძველბიჭო ელემენტების დაჯგუფებები არსებობს. ამაზე რას იტყვით?***

– კარგით, რა. მოდით, პირდაპირ ვთქვათ, რომ პრეზიდენტი თამაშობს ნაციონალური მოძრაობის თამაშს. მე დღეს პრეზიდენტზე არა მაქვს საუბარი. ის ყოვლად კომიკური ფიგურაა. „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი შეცდომაა, რომ მარგველაშვილი, ადამიანი, რომელსაც არანაირი წვლილი არ მიუძღვის საქართველოს არც ისტორიაში და არც თანამედროვეობაში, დღეს არის საქართველოს პრეზიდენტი. ეს არის ადამიანი, რომელიც შემოაპარეს, ჩანერგეს „ქართულ ოცნებაში“. ვილაც-ვილაცებს ეგონათ, რომ ის იქნებოდა ისეთივე მონა, როგორიც ბევრი გვხვდება ქართულ პოლიტიკაში.

***– მერედა ცუდია, რომ მარგველაშვილი ხელისუფლების მონა არ არის?***

– მარგველაშვილი არ არის ხელისუფლების მონა, მაგრამ ის არის სხვა ძალების მონა. დავანებოთ ამ კარიკატურაზე საუბარს თავი და გადავიდეთ უფრო სერიოზულ თემაზე.

***– და რა არის უფრო სერიოზული?***

– მე ვფიქრობ, რომ ბატონმა კვირიკაშვილმა უნდა მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილება. ის უნდა მოიქცეს ისე, როგორც იქცევიან ვაჟკაცი ადამიანები.

***– რას გულისხმობთ?***

– მან თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ამ ყოველივეზე. როდესაც შენი პარტიის წევრები, შენი თანაგუნდელები შარში ეხვევიან, შენ გვერდზე კი არ უნდა გადგე და ხელები კი არ უნდა დაიბანო, არამედ, როგორც პარტიის თავმჯდომარემ, პირადად უნდა აიღო პასუხისმგებლობა ყოველივე ამაზე. დღეს ჯოხის გადატეხა უნდათ კახა კალაძეზე.

***– დადგება დღის წესრიგში კალაძის გადაყენების საკითხი?***

– დღეს ხელისუფლება იყოფა რამდენიმე ნაწილად. კალაძე გახლავთ იმ ნაწილის წარმომადგენელი, რომელიც ყველაზე მეტად არ აწყობს ნაციონალურ მოძრაობას, ისე, როგორც თავის დროზე არ აწყობდათ ირაკლი ღარიბაშვილი. კალაძე ბოლომდე მებრძოლია. ნაციონალებს კი ხელისუფლებაში ისეთი პიროვნებები აწყობს, რომლებიც დაშინებულები და შეშინებულები არიან. ღარიბაშვილის შემდგომ კალაძე მათთვის ყველაზე დიდი დაბრკოლებაა. სწორედ ამიტომ ცდილობენ, ჯოხი კალაძეზე გადატეხონ. პასუხისმგებლობა პარტიის თავმჯდომარემ უნდა აიღოს, რადგან, წესით, ყველაფერი მასთან უნდა თანხმდებოდეს.

***– ანუ თუ საქმე პასუხისმგებლობას ეხება, ეს კვირიკაშვილმაც უნდა გაიზიაროს?***

– დიახ. მხედართმთავარი, რომელიც საკუთარ ჯარისკაცებს ეფარება, ვერცერთ ომს ვერ მოიგებს. იმის გამო, რომ ბოკერიას ლობისტებმა შენზე ცუდი არ თქვან, ამ ბიჭებს ციხისთვის წირავ. დღეს ჩვენი ხელისუფლება ნაციონალური მოძრაობისა და მათი ლობისტების მიერ არის შეშინებული. ისინი ყველასა და ყველაფერს გაწირავენ, ოღონდ საკუთარი ტყავი გადაირჩინონ.

***– ამბობენ, რომ დანაშაული მოხდა და დამნაშავეები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ. ნაციონალების გარდა, ამას ამბობს რესპუბლიკური პარტია, სხვა ოპოზიციური პარტიებიც, საუბარია კანონის გამკაცრებაზე.***

– რესპუბლიკური პარტია საიდან არის ოპოზიციური პარტია, ამიხსნას ვინმემ! სამი ყველაზე საკვანძო თანამდებობა ხელისუფლებაში სწორედ რესპუბლიკელებს უკავიათ. ბოლოს და ბოლოს, თავდაცვის სამინისტროა მათ ხელში. მსგავსი პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს, თან ოპოზიციაში ხარ და თან შენი მინისტრები გყავს ხელისუფლებაში. მე როდესაც მოვუწოდებდი კვირიკაშვილს, გადააყენე რესპუბლიკელები-მეთქი, როგორც კრუხი, ისე გადაეფარა თინა ხიდაშელს. მე რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, რესპუბლიკელებს მომავალ პარლამენტშიც გარანტია აქვთ მიღებული, რომ თუკი ისინი შევლენ პარლამენტში, სამი მინისტრის სავარძელი კვლავ მათ ხელში იქნება. ასევე პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელიც მათ ხელში იქნება.

***– ეს გარანტია ვისგან მიიღეს?***

– ეს გარანტია მიიღეს პრემიერისგან.

***– საუბრისას ნაციონალები და მიხეილ სააკაშვილი ახსენეთ. ვრცელდება ინფორმაციები, რომ სააკაშვილი საქართველოში დასაბრუნებლად ემზადება. რა შანსები აქვთ ნაციონალებს და უნდა ველოდოთ მათგან ახალ პროვოკაციებს?***

– სააკაშვილს ხელისუფლების უნიათობა უქმნის იმის საფუძველს, რომ ის საქართველოში დაბრუნდეს. სააკაშვილი გახლავთ პოლიტიკური ფიგურა, რომელიც აღვსილია რევანშის სურვილით. სააკაშვილმა იცის, რომ უკრაინაში დიდი დღე არ უწერია. მისი მიზანია, საქართველოში დაბრუნდეს. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ხელისუფლების ცვლილება.

***– რა შანსები აქვთ?***

– ნაციონალები არჩევნებისთვის არ ემზადებიან, მათთვის არჩევნები მეათეხარისხოვანია. მათთვის მთავარია, ქვეყანაში შეიქმნას რევოლუციური სიტუაცია, რომლის მეშვეობითაც მოხდება პოლიტიკური რევანში. ეს რევოლუციური სიტუაცია უკვე იქმნება და მასში დიდ მონაწილეობას იღებენ ის ჩანერგილი ნაციონალები, რომლებიც ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არიან და ნაციონალების დავალებებს ასრულებენ.

# მამუკა ტუსკაძე: „ტუბერკულოზის ნემსებს ციხეში ძალით მიკეთებდნენ“

## „ნაციონალური მოძრაობა უნდა გასამართლდეს“

გულიკო ბალაძე

**ამ დღეებში პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა ნაცმოძრაობის ხელისუფლების დროს ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების თაობაზე საზოგადოებას ანგარიში წარმოუდგინა.**

„ახალ თაობას“ ადამიანის უფლებათა კომიტეტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს ექსპერტი, ადვოკატი და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო მრჩეველთა საზოგადოებრივი საბჭოს“ ხელმძღვანელი მამუკა ტუსკაძე ესაუბრება, რომელიც ნაციონალური რეჟიმის მსხვერპლია.

— მე ყოფილი პოლიტპატიმარი ვარ. ორი ნეკნი მაქვს ჩამტვრეული და ტუბერკულოზის კურსი მაქვს ჩატარებული იმ დროს, როცა საერთოდ არასოდეს მქონია ტუბერკულოზი. ნემსებს ძალით მიკეთებდნენ. დოკუმენტებიც მაქვს, რომ სრულიად ჯანმრთელი ვარ და არც არასდროს მქონია ტუბერკულოზი, — აცხადებს მამუკა ტუსკაძე.

***— თუ ტუბერკულოზი არ გქონდათ, ტუბერკულოზის ნემსებს რატომ გიკეთებდნენ?***

— ჩემი მოკვლა უნდოდათ და „მმკურნალობდნენ“ ტუბერკულოზის ცენტრში. 60 ნემსი უნდა გაეკეთებინათ. ამიტომ ვშიმშილობდი, ნემსი არ გამიკეთოთ-მეთქი, მაგრამ 30 ნემსი მაინც გამიკეთეს. ამის დოკუმენტები მაქვს, მაგრამ არავინ იძიებს, არც არავის აინტერესებს.

„ოცნება“ იმიტომ მოვიდა, სამართლიანობას აღვადგენო. ჩემსავით უამრავი ადამიანია ნაწამები, უამრავი ადამიანი დახოცეს, უამრავ ადამიანს მოკვლას უპირებდნენ, მაგრამ დღემდე არ გამოიძიეს, სად, ვინ და რატომ გააკეთა ეს ყველაფერი.

მამუკა ტუსკაძე აღნიშნავს, რომ პატიმრების წამების ძალიან ბევრი ფაქტია, მაგალითად, ლევან ცინდელიანის წამების ფაქტია აღსანიშნავი, რომელიც სასამართლომაც კი აღიარა დაზარალებულად.

— ერთი მხრივ, სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა, რომ ის დაზარალებულია. თანხაც დაუდგინა, მაგრამ, მეორე მხრივ, დამზარალებელი დაჭერილი კი არა, დაკითხულიც არ არის. აბსურდული ვითარებაა. თუ დაზარალებული ვარ, ვინც დამაზარალა, მის მიმართ რაღაც სამართლებრივი რეაგირება ხომ უნდა იყოს. დამზარალებელი ისევ იქ მუშაობს, — შენიშნავს მამუკა ტუსკაძე.

***— ცინდელიანის დამზარალებელი ვინ არის?***

— ციხის თანამშრომლები. ათმა კაცმა გადაუარა და ლამის მოკლა. მას შემდეგ მკურნალობს. მე ჩემი ძალისხმევით მოვახერხე, რომ ტუბერკულოზის სამკურნალო ნემსების გაკეთება შეეწყვიტათ.

***— წლებია, ხართ ექსპერტი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო საბჭოში. ბესელიასთვის ერთხელაც არ გიკითხავთ, აქამდე რატომ ფერხდება რეაგირება?***

— როგორ არ მიკითხავს! ბესელიამ რა უნდა გააკეთოს. ის არის კომიტეტის თავმჯდომარე. მთავრობა და პროკურატურა ვერაფერს აკეთებს. პოლიტიკური ნება არ არის, მთავრობა არ მუშაობს.

***— როგორ ფიქრობთ, რატომ?***

— ვფიქრობ, უნდათ, პოლიტიკურ პროცესებს დაამთხვიონ.

***— თქვენი მონაცემებით, წინა ხელისუფლების დროს რამდენი ნაწამები და დაზარალებული ადამიანია?***

— ათასობით, თუმცა ოფიციალურად სასამართლოს მიერ აღიარებული მხოლოდ რამდენიმეა იმიტომ, რომ ამას არ აკეთებენ.

***— ადამიანის უფლებათა დარღვევების — წამებებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა შესახებ ინფორმაციის მოგროვებაში თქვენ მონაწილეობდით?***

— დიახ. ჩვენთან მოქალაქეები თვითონაც წერენ განცხადებებს და მოკვლევაც ხდება სასჯელაღსრულების გენინსპექციაში.

***— ამ ფაქტებს პარლამენტმა შეფასება უნდა მისცეს?***

— დიახ, ნაცმოძრაობის რეჟიმის დროს მომხდარ დანაშაულებს — ადამიანების წამებებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს. უნდა მომზადდეს კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს საკითხს ნაცრეჟიმის რეპრესიის მსხვერპლთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ.

თუ ხელისუფლებას არ უნდა თქვას, რომ ისინი იყვნენ ჯალათები, ადამიანებს ხოცავდნენ, ასახიჩრებდნენ, უნახევრებდნენ სიცოცხლეს, ცხადია, კანონსაც ვერ მიიღებს.

***— თუკი ნაცების ნამოქმედარს მიეცემა პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება?***

— თავის დროზე დაახლოებით ნიურნბერგის მსგავსი სასამართლო პროცესი უნდა შემდგარიყო. დღესაც არ არის გვიან. უნდა გასამართლდნენ არა მხოლოდ ის ადამიანები, არამედ სისტემაც. ერთხელ და საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოში 2005-2012 წლებში იყო რეჟიმი, ტოტალიტარული მმართველობა და არადემოკრატიული მთავრობა. ამაზე პარლამენტმა რეზოლუცია უნდა მიიღოს.

მის საფუძველზე უნდა მომზადდეს კანონი, რომელიც იქნება 2005-2012 წლებში, სააკაშვილის რეჟიმის დროს რეპრესირებულ ადამიანთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ. ვინც სასამართლოს მეშვეობით დაადასტურებს, რომ მან მიიღო არა მხოლოდ მორალური, არამედ ფიზიკური ზიანი — ნეკნები ჩაუმტვრიეს, ტუბერკულოზი დამართეს, მოკვლა უნდოდათ ან მოკლეს, მის მიმართ სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები უნდა გატარდეს.

სააკაშვილის რეჟიმის დროს დაახლოებით 1.000 კაცია მოკლული. სასჯელაღსრულების ყოფილმა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ ერთხელ განაცხადა, ციხეებში ასაკით იხოცებიან, 80 წლის პატიმრები გვყავდა და ასაკით დაიხოცნენო. დღეისათვის ხათუნა კალმახელიძე დაკითხულიც არ არის (რომელიც ჩვეულებრივი ჯალათია). ეს არის მთავრობა და ხელისუფლება? მშიერმა ადამიანმა პური რომ მოიპაროს, დაიჭერენ, სააკაშვილის ჯალათებს კი არ იჭერენ.

***— რეჟიმის გასამართლებას პოლიტიკურად რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს? ნაცმოძრაობა მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობასა და პოლიტიკურ მოღვაწეობას განაგრძობს.***

— თუ ხელისუფლებამ ინება და ნაცრეჟიმი გასამართლდა (ამის დიდი საფუძველი აქვს), ეს გახდება ნაციონალური მოძრაობისათვის რეგისტრაციის გაუქმების სამართლებრივი საფუძველი. როცა ორგანიზაცია გაუქმდება, გაუქმდება მისი საარჩევნო რეგისტრაციაც და შემდეგ არჩევნებშიც ვერ მიიღებენ მონაწილეობას. ამის გაკეთება ხელისუფლებას შეუძლია, მაგრამ არ ასრულებენ, უნდათ, ნაცმოძრაობასთან ერთად მხოლოდ თვითონ იყვნენ პარლამენტში. ეს არ გამოვა.

***— მეორე მხრივ, კეთდება განცხადებები, რომ ნაცმოძრაობის განადგურება უნდათ. თუ ნაცების ნამოქმედარს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება მიეცემა, ნაცმოძრაობის განადგურებად მიიჩნევენ.***

— ნაცმოძრაობა არის დამნაშავე ორგანიზაცია. ის უნდა გასამართლდეს სს კოდექსის 107-ე მუხლით, რაც გულისხმობს არა მხოლოდ პიროვნებების, ფიზიკური პირების გასამართლებას, თავად ორგანიზაცია უნდა იქნეს ლიკვიდირებული მისი არადემოკრატიული, არაკონსტიტუციური საქმიანობის გამო.




ეს ხელისუფლებას შეუძლია, მაგრამ არ აკეთებს. ნაცმოძრაობასთან ძალიან კოაბიტირებულად გრძნობენ თავს და გასამართლება არ აწყობთ. ნაცმოძრაობისნაირი ურეიტინგო და ყველაზე მდაბალი ორგანიზაცია, ჯალათი ორგანიზაცია უფრო ადვილი სამართავია. სულ წამოაძახებენ, შენ ხარ ჯალათიო. ასე იყო პარლამენტში 4 წლის განმავლობაში. ახლა კორცხელის ინციდენტის გამო ისეთი მუხლით წაუყენეს ბრალი, ბიჭების დაჭერას გეგმავენ. სააკაშვილივით აპირებენ საქმის წარმართვას? კანონი ირღვევა, მაგრამ კანონს რამდენიმე ქვეპუნქტი აქვს.

***— მეორე მხარეს ესეც ეცოტავება. ჩვენ არ ვართ იზოლირებული დანარჩენი მსოფლიოსაგან. ნაცრეჟიმის გასამართლებასა და ნაცპარტიის აკრძალვას როგორ შეხვდება გარესამყარო იმ ფონზე, როდესაც ჩვენ გვინდა ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია, ნატოსა და ევროკავშირის წევრობა?***

— ღიად გვეუბნებიან, რომ დანარჩენ მსოფლიოს არ სურს პარტნიორად ისეთი სახელმწიფო, რომელსაც სამართლიანობის აღდგენა არ უნდა. ასეთი სახელმწიფო არც ნატოში, არც ევროკავშირში და არც დანარჩენ მსოფლიოში არ უნდათ.

# სოსო ცისკარიშვილი: „დიდი ალბათობით, თამარ სანიკიძეს ვიხილავთ ახალ პარლამენტში“




— განათლების სამინისტროში ასეთი ცვლილება მოსალოდნელი იყო, მაგრამ ახალი მინისტრის შესახებ ვფიქრობ, უფრო მეტი ინფორმაცია უნდა გაგვაჩნდეს, — ამის შესახებ ექსპერტმა სოსო ცისკარიშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განათლების მინისტრის თანამდებობიდან თამარ სანიკიძის გათავისუფლების საკითხზე კომენტირებისას განუცხადა.

სოსო ცისკარიშვილი განათლების მინისტრის პოსტზე ალექსანდრე ჯეჯელავას დანიშვნას პრემიერისა და ახალი მინისტრის პირად ურთიერთობებს უკავშირებს.

— პრემიერ-მინისტრის განცხადებაში უნდა ვეძიოთ ცვლილების მიზეზი. როდესაც ის ბატონ ალექსანდრე ჯეჯელავას ახასიათებს, როგორც ერთ-ერთი საკმაოდ მაღალი ავტორიტეტის მქონე სასწავლო დაწესებულების მოსწავლეს, მსმენელს.

ხოლო, საჯარო სივრცეში მმართველ პოზიციაზე მისი არსებობის შესახებ არაფერს გვეუბნებიან. ალბათ ამ გადაწყვეტილების საფუძველი უნდა ვეძიოთ პირად ურთიერთობებში, ახალ მინისტრსა და პრემიერ— მინისტრს შორის. უკეთესი იქნებოდა ამაზე უფრო ღიად ყოფილიყო ნათქვამი, — აღნიშნა სოსო ცისკარიშვილმა.

მისივე მოსაზრებით, სამინისტროს ხელმძღვანელის ცვლილება, ალბათ გარკვეულწლიად საჭირო გახდა, მაშინ, როცა თსუ-ში განვითარებული მოვლენების ფონზე სამინისტრო „პრაქტკულად ჩიხში შევიდა“.

ექსპერტის აზრით, როგორც ჩანს, სამინისტრო არ აღმოჩნდა იმ სიმაღლეზე, რომელიც აუცილებელია დღევანდელი საგანმანათლებლო სისტემისთვის.

რაც შეეხება, პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომლის თანახმად, განათლების უკვე ყოფილი მინისტრი თამარ სანიკიძე გუნდში რჩება და უახლოეს პერიოდში საუბარი იქნება მის ახალ მანდატზე, სოსო ცისკარიშვილი ფიქრობს, რომ სანიკიძე „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში მოხვდება.

— ბევრად უფრო მშვიდი სავარძელი იქნება ალბათ გათვალისწინებული ქალბატონო მინისტრისთვის. ასეთი სავარძლების დეფიციტის მიუხედავად, დიდი ალბათობით მას ვიხილავთ ახალ პარლამენტში, — დასძინა სოსო ცისკარიშვილმა.

ინტერპრესნიუსი

# პარლამენტმა პრეზიდენტის შენიშვნები გაიზიარა

პარლამენტმა საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ პროექტთან დაკავშირებით პრეზიდენტის შეთავაზება გაიზიარა და მის ვარიანტს მხარი ერთხმად დაუჭირა.

პრეზიდენტის მიერ მომზადებული საკანონმდებლო პროექტი 84 ხმით გავიდა.

შესაბამისად, ამის შემდეგ კენჭისყრაზე აღარ დამდგარა პარლამენტის მიერ მიღებული ის კანონპროექტი, რომელსაც გიორგი მარგველაშვილმა ხელი არ მოაწერა.

კენჭისყრამდე ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ არის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ არსებობს შენიშვნები, რომელსაც ეთანხმებიან.

საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებით პრეზიდენტის შეთავაზება დღეს დეპუტატებს უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინა იმერლიშვილმა გააცნო.

პრეზიდენტის მიერ პარლამენტისთვის შეთავაზებული წინადადებები შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ გადაწყვეტილების მიღების კვორუმს, მოსამართლეთათვის 10 წლიანი უფლებამოსილების ვადის ბოლომდე გამოყენებასა და პლენუმისათვის განსახილველად გადაცემული საკითხის განხილვაზე უარის თქმის შემთხვევას.

მედიანიუსი

# კორცხელის ინციდენტში ბრალდებულებს გირაო შეეფარდათ




კორცხელში მომხდარ ინციდენტში ბრალდებულებისგან ხუთ პირს აღკვეთის ღონისძიების სახით 7-ათას ლარიანი გირაო, ერთს კი 10-ათას ლარიანი გირაო შეეფარდა.

შესაბამისი გადაწყვეტილება ზუგდიდის სასამართლომ მიიღო.

აღნიშნულით მოსამართლემ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა, რომელიც ბრალდებული პირების მიმართ სწორედ გირაოს შეფარდებას მოითხოვდა.

უფრო კონკრეტულად, 7-ათას ლარიანი გირაო შეეფარდათ: ნოშრევან წურწუმიას, გიორგი გიგაურს, გიორგი გოგიძეს, კობა ტყეშელაშვილსა და გრიგოლ ტყემალაძეს, 10 ათას ლარიანი კი ვლადიმერ გეგეშიძეს.

ბრალდებულებმა გირაოს თანხა 30 დღის ვადაში უნდა გადაიხადონ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით ბრალი 6 პირს 1-ელ ივნისს წაუყენა.

ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში, შუალედური არჩევნების დროს ერთმანეთს ფიზიკურად „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერები დაუპირისპირდნენ.

ინტერპრესნიუსი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# რატომ დაარბიეს თბილისში ვეგეტარიანული კაფე




უცხოურ პრესაში აქტიურად ქვეყნდება მასალები თბილისში ამ რამდენიმე დღის წინათ მომხდარი ინციდენტის შესახებ, როცა ქართველი ახალგაზრდების ჯგუფი ვეგეტარიანთა კაფეში შეიჭრა და იქ მყოფებს შეურაცხყოფა მიაყენეს – წინ დაუყარეს ხორცის პროდუქტები და მათი ჭამა დააძალეს.

გერმანულ გაზეთ „ბერლინერ კურიერში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი ანა დიტმანი, აღწერს რა მომხდარ ინციდენტს, ყურადღებას ამახვილებს ულტრამემარჯვენედ განწყობილი ადამიანების ჯგუფზე, რომლებიც საკუთარ ორგანიზაციას „ბერგმანს“ უწოდებენ. „საქართველოში ნაციონალისტური ჯგუფები ცოტა ხნის წინ გამოჩნდა: დამოუკიდებლობის დღისადმი აღსანიშნავ ზეიმზე ისინი თბილისის ქუჩებში მარშირებდნენ და ხელში ლოზუნგები ეჭირათ წარწერით „საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის“, – ნათქვამია პუბლიკაციაში

გაზეთ „ბერლინერ ცაიტუნგში“ გამოქვეყნებულ სტატიაშიც, ინციდენტის გადმოცემისას, ავტორი ფილიპ ფრიცი მომხდარ ფაქტს ნეგატიურად აფასებს და წერს, რომ ვეგეტარიანელობა – ეს არა მარტო კვების პროდუქტების არჩევანია, არამედ რაღაც იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობითი დამოკიდებულება გარემოს მიმართ. განა ვინმე დააყენებს ეჭვქვეშ ცხოველების დაცვას და საკუთარ ჯანმრთელობას... ასეთი კაფეების წინააღმდეგნი შეიძლება მხოლოდ ქვის ხანის კომუნისტები ან ისლამისტები იყვნენ, რომლებიც მხოლოდ ხალიფატის შექმნაზე ოცნებობენ. ვეგეტარიანელებს კი ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრება სურთ (წყარო: ჰტტპ://წწწ.ბერლინერ-ზეიტუნგ.დე/პანორამა/კომმენტარ-წარუმვეგეტარიერ-უნდ-ვეგანერ-ფალსცჰემორალისტენ-სინდ-24115980).

„ბერლინერ მორგენპოსტში“ კი სტატია თბილისში მომხდარი ინციდენტის თაობაზე „მემარჯვენე ექსტრემისტებმა ვეგანკაფეს ძეხვებითა და მწვადებით შეუტიეს“ ქვეყნდება რუბრიკით „ნეონაციზმი“ (ავტორი – ჯენიფერ კალიშევსკა).

„შესაძლოა ვინმეს ეს სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ თავდამსხმელები ნეონაცისტებს ჰგავდნენ. ბოლოს და ბოლოს, საქმე მხოლოდ ძეხვზე არაა, რადგან ერთ-ერთმა დანაც იშიშვლა“, – წერს ავტორი და აღნიშნავს, რომ ფეისბუქის მეშვეობით გავრცელებულმა თვითმხილველთა მოყოლილმა ამბებმა მსოფლიოში ფართო სოლიდარობა გამოიწვია. პუბლიკაციაში, ბრიტანულ გაზეთ „გარდიანზე“ დაყრდნობით, ასევე ნათქვამია, რომ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე თბილისის მოსახლეობა შეშფოთებული იყო ქუჩებში ულტრანაციონალისტური დაჯგუფების მიერ გამართული აქციით.

ავსტრიული გაზეთი „კურიერი“ ვრცლად აცნობს მკითხველს „კავკასიურ სახელმწიფო საქართველოში“ მომხდარ ინციდენტს და ცდილობს გაარკვიოს, კონკრეტულად რომელი ორგანიზაცია მონაწილეობდა ვეგანკაფეს წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობრივ აქციაში: გაზეთი იმოწმებს სოციალურ ქსელებში გავრცელებულ ინფორმაციას და წერს, რომ „თავდამსხმელები“ ნაციონალისტურად განწყობილი ორგანიზაციის „ქართული ძალის“ წევრები იყვნენ, რომლებიც ამ რამდენიმე დღის წინათ დედაქალაქის ქუჩებში მარშირებდნენ და ხელში საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ნაციონალისტ ზვიად გამსახურდიას დროინდელი ლოზუნგები ეჭირათ – „საქართველო ქართველებისათვის“. „პოსტსაბჭოთა საქართველოში ტურბიზნესი სწრაფად ვითარდება. თბილისში ბევრი ახალი [დასავლური სტილის] ობიექტი იხსნება, მათ შორის ვეგანკაფეებიც, სადაც ვეგეტარიანული კვების მხარდამჭერები იკრიბებიან, იქ არიან ტრანსსექსუალები და მათი მსგავსი ადამიანებიც. ამასთან, საქართველოში მოქმედი მართლმადიდებლური ეკლესია ძალიან კონსერვატიულად უდგება დასავლეთიდან შემოსულ ახალ მოდას“, – აღნიშნულია სტატიაში.

**ნიუსპრესი**

# ცხინვალში მთავრობამ პრეზიდენტს რეზიდენცია აახია

## 35.000-იან ცხინვალზე 110 მეეზოვე მოდის

შორენა მარსაგიშვილი

ცხინვალში დიდი ამბებია. ადგილობრივი მთავრობა ძველი რვასართულიანი შენობიდან ქალაქის ცენტრში მდებარე ახალ შენობაში გადავიდა, რომელიც თავის დროზე პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციისთვის აშენდა.

ასეთი გადაწყვეტილების მიღება ლამის სასიცოცხლოდ ყოფილა აუცილებელი, რადგან მთავრობისთვის განკუთვნილი შენობა მთავრობას და სამინისტროებს ველარ იტევდა.

აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებით, ძველ შენობაში ისეთი სივიწროვე იყო, რომ რიგი სამინისტროები იძულებული იყვნენ, სხვა შენობები დაექირავებინათ.

დალხენილ დღეში არც პრეზიდენტის ადმინისტრაციაა. აქაც ფართის სივიწროვეს უჩივიან და ცალკეული სამსახურები სხვაგან ქირაობენ ფართებს.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის, ოლეგ გაგლოევის განცხადებით, პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციისთვის აშენებული შენობა ყველას ვერ შეიფარებს.

ალან ჯიოევის ქუჩაზე მდებარე შენობაში მხოლოდ რჩეულები, ანუ პრემიერი და ვიცე-პრემიერები გადავლენ. მათ გარდა, ბედმა მთავრობის აპარატსაც გაუღიმა. ახალ შენობაში იმუშავებს ეკონომიკის სამინისტროც.

ოლეგ გაგლოევის ინფორმაციით, მთავრობის წევრები ახალ შენობაში ახალ კაბინეტებს მომავალ კვირას დაიკავებენ.

საერთოდ, ბოლო ხანებში სამხრეთელთა პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი ძალიან დამთმობი გახდა. მან ოპონენტებს რეფერენდუმის თემაც კი დაუთმო. არადა მას ამ ღონისძიების გამართვა მიმდინარე წლის აგვისტოში სურდა.

თიბილოვის ასეთ ქმედებებს ცხინვალში მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირებენ. ეს არჩევნები 2017 წლის გაზაფხულზე, მარტში ან აპრილში გაიმართება. ამ არჩევნებში მონაწილეობას თიბილოვიც აპირებს.



....

ცხინვალელები მთავრობის მისამართის შეცვლას და რეფერენდუმის თარიღის გადაწევას დიდი აღფრთოვანებით არ შეხვედრიან. მათთვის ამ ეტაპზე ყოფითი პრობლემების მოგვარებაა მთავარი.

ოსური მედიის ცნობით, ცხინვალში დღემდე გადაუჭრელია მაწანწალა ძაღლების პრობლემა. პრობლემად რჩება დასუფთავების საკითხიც. ოსური მედიის ცნობით, 35.000-იან ცხინვალზე 110 მეეზოვე მოდის. მართალია, ისინი თავდაუზოგავად მუშაობენ, მაგრამ ქალაქისთვის საკმარისი არაა.

ცხინვალში ფიქრობენ, რომ კარგი იქნებოდა თუ მთავრობა, შენობის შეცვლის გარდა, ნაგავსაყრელებზეც იფიქრებდა. ცხინვალის სიახლოვეს მდებარე ნაგავსაყრელი ქალაქის რამდენიმე გარეუბანს სერიოზულ პრობლემას უქმნის. მოსახლეობა ამბობს, რომ აუტანელი სუნი აწუხებს და ფანჯრის გაღებასაც ვერ ახერხებს.

# თამაზ მეჭიაური: „პრეზიდენტის ვეტო „მეგობრული ვეტო“ იყო“

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის, თამაზ მეჭიაურის განცხადებით, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ კანონზე „ვეტო ვეტოსთვის“ იქნა დადებული.

როგორც მეჭიაურმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, უმრავლესობა დიდი ალბათობით ვეტოს დაძლევს.

– პრეზიდენტისა და მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ერთმანეთის მიმართ ისეთი კეთილგანწყობით იყვნენ, ეს მეგობრული ვეტო უფრო იყო, ვიდრე ძალიან დიდი მნიშვნელობის მატარებელი. მგონი, შეჯერებულები არიან და დიდი ალბათობით, პრეზიდენტს დავეთანხმები. ეს იყო ვეტო ვეტოსთვის, – დასძინა მეჭიაურმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

**ინტერპრესნიუსი**

# გერმანული პრესა კვლავ ქართველ ქურდებზე წერს



„გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა თომას დე მეზერმა ბერლინში პრეს-კონფერენცია გამართა და ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს 2015 წლის ქვეყნის კრიმინალური სტატისტიკა წარუდგინა. ასეთი პრესკონფერენციები ყოველწლიურად ტარდება ხოლმე, მას ტრადიციული ხასიათი აქვს, თუმცა ანგარიშში ერთგვარი სიახლეც იყო – კრიმინალურ სტატისტიკაში ცალკეა ასახული უცხოელების მიერ ჩადენილი დანაშაულებანი“, – აღნიშნულია რადიოსიუჟეტში (ავტორი – ნიკიტა ჟოლკვერი).

– 2015 წელს გერმანიაში ლტოლვილთა ზრდის არნახული ტემპი დაფიქსირდა – თავშესაფრის მსურველთა რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა და რადგანაც საზღვრის არალეგალურად გადმოლახვა დანაშაულად ითვლება, ამიტომაც კრიმინალური სტატისტიკა მატულობს. საერთოდ კი, გერმანია ევროპის ერთ-ერთ ყველაზე მშვიდ სახელმწიფოს სტატუსს ინარჩუნებს, თვით გერმანელებს შორის დანაშაულის დონე სტაბილურია და არ მატულობს, – განაცხადა მინისტრმა.

უცხოელთა წილი სამართალდარღვევებში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი – 27%-ით, თუმცა სხვადასხვა ეროვნების მიგრანტების მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა ერთმანეთისაგან განსხვავდება.

– სირიელ ლტოლვილებს შორის დანაშაულის ჩადენისაკენ სწრაფვა საშუალოზე დაბალია, მაგრამ თავშესაფრის იმ მაძიებელთა შორის, რომლებიც ჩრდილოეთ აფრიკისა და ბალკანეთის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქვეყნებიდან, აგრეთვე საქართველოდან არიან, დამნაშავეობის დონე საშუალოზე მაღალია, – ხაზი გაუსვა მინისტრმა.

კრიმინალური სტატისტიკის ანალიზით ირკვევა, რომ თავშესაფრის მიღების მაძიებელი ქართველები გერმანიაში ძალიან ბევრი არ არიან, მაგრამ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებანი სხვებზე უფრო მეტია. ციფრების მიხედვით, საქართველო თავისი ეჭვმიტანილი მოქალაქეების წყალობით მერვე ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, რომელთა ქვეშევრდომები გერმანიის პოლიციის ყურადღების ცენტრში მოხვდნენ, მაგრამ ქართველები, ჩადენილი დანაშაულის (ქონების მოპარვა, ბინების ძარცვა) რაოდენობის მიხედვით (3838), მესამე ადგილზე არიან – კოსოვოელებისა და მაროკოელების შემდეგ. მათ მოჰყვებიან ალბანელები და სერბები.

– საქართველოდან ჩვენთან ბევრი მოქალაქე ჩამოდის, ითხოვენ თავშესაფრისა და დახმარების მიღებას და სანამ შესაბამისი ორგანოებიდან პასუხს მიიღებენ, ისინი გერმანელების ბინების ძარცვას იწყებენ, – ასეთი პასუხი გასცა შინაგან საქმეთა მინისტრმა „დოიჩე ველეს“ კორესპონდენტის შეკითხვას და ხაზი გაუსვა, რომ ქართველები ბოროტად სარგებლობენ გერმანული სამართლით თავშესაფრის მიღებაზე და ამ მხრივ მათი ქცევა, სხვებთან შედარებით, „ყველაზე აღმაშფოთებელია“.

თომას დე მეზერის თქმით, ასეთი სიტუაცია, რასაკვირველია, ორივე სახელმწიფოს მთავრობებს აწუხებს: „ამას წინათ ბერლინში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი იყო ჩამოსული და მასთან მოლაპარაკების დროს ხელი მოეწერა შეთანხმებას სისხლის სამართლის დანაშაულის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. არ გვაქვს პრობლემა საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დეპორტაციის საკითხშიც, თუმცა, ცხადია, სანამ დეპორტს მოახდენ, მანამ დამნაშავე უნდა დაიჭირო“, – აღნიშნა მინისტრმა და პრესკონფერენციის მონაწილეებს აღუთქვა, რომ სამინისტრო დამატებით ზომებს მიიღებს „ქართული ფენომენის“ დაძლევის მიზნით.

**ნიუსპრესი**

# „დაგესტანსკაია პრავდა“: „ავარეთ-კახეთის გზა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“



2016 წელი დაღესტანში მთების წლადაა გამოცხადებული, რაც რესპუბლიკის მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაში ძალიან დიდი ნაბიჯს წარმოადგენს. დიდი ხანია მომწიფდა საკითხი მთის რეგიონული პოლიტიკის კონცეფციის შემუშავებისათვის, რომლის დროსაც ამოცანების ფართო სპექტრი და მათი გადაწყვეტის ოპტიმალური გზები უნდა იყოს გათვალისწინებული“, – წერს დაღესტნურ გამოცემა „Дагестанская правда“-ში სტატიის ავტორი ანვარბეკ კადიევი, დაღესტნის მრეწველთა და მეწარმეთა კავშირის პრეზიდენტი.

პუბლიკაციაში ყურადღებაა გამახვილებული გზების მშენებლობის საკითხზე, რომელიც მთიანი დაღესტნისათვის ჰაერივით აუცილებელია. ამ ფონზე ავტორი ხაზს უსვამს აგრეთვე იმ გზების მშენებლობის აუცილებლობას, რომლებიც დაღესტანს თავის მეზობლებთან, კერძოდ კი საქართველოსთან აკავშირებს: „ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ავარეთ-კახეთის გზის მშენებლობას, რომლის ისტორია 150 წელზე მეტს ითვლის. მას შემდეგ, რაც ჩვენს რესპუბლიკას სათავეში რამაზან აბდულატიპოვი ჩაუდგა, ამ გზის მშენებლობის იდეა მთიანი მხარის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად იქცა. სპეციალისტებს ერთი აზრი აქვთ: ამ პროექტის რეალიზებას, თავისი მასშტაბითა და მნიშვნელობით, კოლოსალური როლი ენიჭება არა მარტო დეპრესიული მთიანი რეგიონების გამოსაცოცხლებლად, არამედ რუსეთისა და დაღესტნისათვის – უეჭველია, ინფრასტრუქტურის განვითარება მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდას გამოიწვევს, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს, შეწყდება მოსახლეობის დინება მთებიდან ბარში, შეივსება საბიუჯეტო შემოსავლები საბაჟო მოსაკრებლების მეშვეობით.

– კასპიისა და შავ ზღვებს შორის არსებული სატრანსპორტო დერეფნის სიგრძე, პროექტის რეალიზების დასრულებისას, 470 კმ. იქნება.

ავარეთ-კახეთის საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესებაშიც. ამ პროექტის რეალიზება, ეთნოლოგიური ვითარებაც დადებით გავლენას მოახდენს. ცნობილია, რომ კახეთში, ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ყვარლელი ლეკები დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ, მათ დაღესტანში ბევრი ნათესავი ჰყავთ. ახალი გზა, უეჭველია, ლეკებს თითქმის მივიწყებული ისტორიული კავშირების აღდგენაში დაეხმარება, – ნათქვამია სტატიაში.

**ნიუსპრესი**

## საერთაშორისო

### ვლადივოსტოკის მერს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს



ვლადივოსტოკის მერს იგორ პუშკარიოვს მოსკოვის ბასმანის რაიონულმა სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

პუშკარიოვს თანამდებობის ბოროტად გამოყენება და დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონების მითვისება ედება ბრალად. სასამართლომ უარყო პუშკარიოვის ადვოკატის შუამდგომლობა, მისი კლიენტისთვის საშინაო პატიმრობა ეკმარებინათ.

### გერმანიის კონტრდაზვერვამ ტერორისტები დააკავა



გერმანიაში სამი სირიელი დააკავეს, რომლებიც ქალაქ დიუსელდორფში ტერაქტებს გეგმავდნენ. ხსენებული ჯგუფი ოთხი მებრძოლისგან შედგებოდა. მისი ერთი წევრი გერმანელ ძალოვნებს ჩაჰბარდა და აღიარებითი ჩვენება მისცა. ამგვარად ტერაქტი თავიდან იქნა აცილებული.

აქამდე გერმანია ტერორისტების სამიზნე არ ყოფილა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ტერორისტები გერმანიაში ასეთი მასშტაბის ტერაქტებს გეგმავდნენ.

### „დონეცკის რესპუბლიკაში“ რუსული პასპორტების გაცემა იწყება




ივნისის პირველი რიცხვებიდან „დონეცკის რესპუბლიკაში“ რუსული პასპორტების გაცემა დაიწყება. ამის თაობაზე სეპარატისტების ერთ-ერთმა ლიდერმა ზახარჩენკომ განაცხადა.

— ჩვენ უკვე მზად ვართ, რათა რუსული პასპორტები დავარიგოთ, — თქვა მან.

ზახარჩენკომ ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსული პასპორტების დარიგებით გადაიდგმება პირველი ნაბიჯი იმისთვის, რომ დონბასი რუსეთის შემადგენლობაში შევიდეს.

— თუ საკუთარი ძალებით უკრაინელებს ვერ გავუმკლავდებით, რუსული პასპორტების დარიგება პირველი ნაბიჯი იქნება საიმისოდ, რათა აქ რუსეთის არმია შემოვიდეს. უკრაინელები დაუნდობლად გვხოცავენ. მოსკოვი, იმედია, თავისი მოქალაქეების დახოცვას არ დაუშვებს, — თქვა ზახარჩენკომ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა გამორიცხა რუსეთის მიერ დონეცკ-ლუგანსკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარება. დონბასის შესვლას რუსეთის შემადგენლობაში მან უტოპია უწოდა.

— ჩვენ მხარს ვუჭერთ დონბასის ფართო ავტონომიას უკრაინის შემადგენლობაში. დონბასი უნდა გახდეს უკრაინის ფედერალიზაციის კატალიზატორი. რაც შეეხება დონბასის დამოუკიდებლობის აღიარებას ან რუსეთის შემადგენლობაში შესვლას, ეს გამორიცხულია, — თქვა ლაროვმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# მოსამართლეებმა რუსთავი 2-ის ადვოკატები პროცესიდან გააძევეს

რუსთავი2-ის გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას განცხადებით ტელეკომპანიის სასამართლო პროცესზე არა მართლმსაჯულება, არამედ დანაშაულებრივი საქმიანობა ხორციელდება.

აღნიშნული განცხადება გვარამიამ 3 ივნისს სასამართლო პროცესის დასრულების შემდგომ გააკეთა, რომელსაც, მოსამართლეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, თავად ვერ ესწრებოდა.

— მე ვიყავი გაძევებული სხდომის ფარგლებში და არა პროცესის ბოლომდე და სრულიად გაურკვეველია, დღეს რატომ არ დამიშვა სასამართლომ. მერე მოხდა სრულიად წარმოუდგენელი რამ — რუსთავი 2 დაცვის გარეშე დატოვა ამ სამმა ზონდერმა მოსამართლემ, მათ შორის ერთ-ერთმა თაღლითმა. ყველაზე საოცარი ის არის, რომ გუჯაბიძემ, რომელზეც პრაქტიკულად მამხილებელი სიუჟეტები გავუშვით, მისი შუამდგომლობის აცილება არც კი განიხილა, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

მან თქვა, რომ ის, რაც პროცესზე მიმდინარეობს, არის დანაშაულებრივი საქმიანობა სამი უსინდისო ქალის მხრიდან, რომლებიც არიან დაქირავებულები,

— არ გამოვრიცხავ, რომ ამაში ანაზღაურებასაც იღებდნენ და იმართებიან ერთი კონკრეტული ცენტრიდან. ეს ქალები აუცილებლად აგებენ პასუხს კანონის წინაშე, კანონის მთელი სიმკაცრით. მართლმსაჯულების გაუპატიურება არავის და არასდროს არ უნდა შერჩეს. ეს უნდა იყოს მაგალითი ყველა




შემდგომი ხელისუფლებისთვის, ამიტომ მათი დასჯაც უნდა იყოს სამაგალითო, — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

პროცესის დასრულების შემდეგ ნაციონალმა ჩიორა თაქთაქიშვილმა სასამართლო პროცესს „ბიძინა ივანიშვილის ტროიკა“ უწოდა:

— ამ შენობას, იმ დარბაზს საერთოდ ტყუილად ჰქვია სასამართლო, ეს არ არის სასამართლო, ეს არის ბიძინა ივანიშვილის „ტროიკა“, რომელიც ასამართლებს საქართველოში თავისუფალ სიტყვას, მაგრამ საქართველოში არცერთ ხელისუფლებას, არცერთ პიროვნებას არ შერჩენია თავისუფალი მედიის ხელყოფა, და კიდევ ერთხელ, სჯობს დაფიქრდეს ბიძინა ივანიშვილი, სანამ ამ გადაწყვეტილებას საბოლოოდ მიიღებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ძალიან მძიმე ბედის გაზიარება მოუწევს, — განაცხადა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

***

3 ივნისის პროცესზე მოსამართლეთა კოლეგიამ სხდომათა დარბაზიდან რუსთავი 2-ის ადვოკატები გააძევა.

ამასთან, კოლეგიამ ადვოკატ დიმიტრი ძაგნიძეს 100 ლარი, თამთა მურადაშვილს 300 ლარი, ხოლო დიმიტრი საძაგლიშვილს 500 ლარი ჯარიმა შეუფარდა.

რუსთავი 2-ის საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში 7 ივნისს, 10.00 საათზე გაგრძელდება.

პროცესი ქიბარ ხალვაშის ადვოკატის, პაატა სალიას სააპელაციო შესაგებლით გაგრძელდება.

ამის შემდეგ რუსთავი 2-ის შესაგებელი სიტყვა იგეგმება, ხოლო შემდეგ სასამართლო მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე გადავა.

***

3 ივნისს საღამოს სააპელაციო სასამართლოსთან რუსთავი 2-ის მხარდასაჭერად სტუდენტები შეიკრიბნენ. სტუდენტებს სასამართლოს შენობის წინ ბანერების გაშლა სურდათ, წარწერით „ხელები შორს რუსთავი 2-ისგან“, ასევე პლაკატების, რომლებზეც დაწერილი იყო „სიტყვის თავისუფლება მნიშვნელოვანია“, მაგრამ ახალგაზრდებს ამის საშუალება მანდატურის სამსახურმა არ მისცა.

აღნიშნული მიზეზის გამო სტუდენტებმა აქცია სასამართლოს შებიდან მოშორებით გამართეს.

მათი განცხადებით, ისინი სიტყვის თავისუფლებას იცავენ და აცხადებენ, რომ სასამართლო პროცესი რუსთავი 2-ის დაცვის მხარის გარეშე არ უნდა მიმდინარეობდეს.

სტუდენტები ასევე აცხადებენ, რომ ხელისუფლებას რუსთავი 2-ის საეთერო პოლიტიკის ხელში ჩაგდება უნდა.

— ბიძინა ივანიშვილის მორიგი სურვილია, რუსთავი 2 ხელში ჩაიგდოს, — განაცხადა ერთ-ერთმა სტუდენტმა.

# ნოდარ ნათაძე: „სიმართლე ანექსირებული ტერიტორიების შესახებ მსოფლიოს უნდა გავაგებინოთ“

## „რუსეთი ამიერკავკასიის სახელმწიფოდ ქცევის მიზნით ადრე აღებულ კურსს აგრძელებს“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველოში ხშირად უკან იწევს ქვეყნის ტერიტორიული პრობლემები. არადა, რუსეთი აგრძელებს საოკუპაციო ზოლის გადმოწევას, საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. მესაზღვრეები კი ხოცავენ საქართველოს მოქალაქეებს. მსოფლიო თანამეგობრობა აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა უცხოეთში ნაკლებად გადის ინფორმაცია იმაზე, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი ძირძველი ქართული ტერიტორიებია.

სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ საჭიროა დიპლომატიური მუშაობის გააქტიურება და ინფორმაციის გატანა იმ ტერიტორიების შესახებ, რომლებიც დღეს ანექსირებულია.

**ნოდარ ნათაძე:**

— ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მიშვება არ შეიძლება იმ დროს, როცა აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთს აქვს ანექსირებული და სიტუაცია მიმდებარე რაიონებშიც მწვავდება. ჩვენ უნდა ვამტკიცოთ სიმართლე ყველა ტრიბუნაზე, ყველას უნდა გავაცნოთ ამ კონფლიქტების ისტორია.

***— ამ მხრივ ამ ხელისუფლებასთან გაქვთ პრეტენზია თუ წინა ხელისუფლებებთანაც?***

— ყველასთან. საქართველოს ინტერესებს არავინ იცავდა. შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობების წარმომადგენლებზე უცხოეთში ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ისინი გონებრივად განუვითარებელთა კრებულს წარმოადგენენ. ზოგი მათგანი გაუნათლებელი ნაციონალიზმის წარმომადგენელივით იქცეოდა. სინამდვილეში, ქართველების ბუნებაში განათლებული ნაციონალიზმი დევს. ის გამორიცხავს ვინმეს ჩაგვრას.

ჩვენ, ქართველი პატრიოტებიც, განათლებული ნაციონალიზმის მიმდევრები ვართ. ასეთები იყვნენ ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი, სხვები. ილია ჭავჭავაძემ იწინასწარმეტყველა, რომ საქართველოს სრულ გათავისუფლებას რუსეთისგან ხელს შეუწყობდა მსოფლიოში განვითარებული დემოკრატიზაციის პროცესი და ასევე რუსეთის დასუსტება ანუ რუსეთი ვერ მოინელებდა იმ დიდ ლუკმას, რომელიც გადაყლაპა. ეს საქართველოსაც ეხება.

***— განათლებული ნაციონალიზმი ერის ინტერესების დაცვას ნიშნავს?***

— ერის ინტერესების დაცვა ამ შემთხვევაში განიხილება არა კერძო შემთხვევად, არამედ, ზოგადად, ერების უფლებების უზრუნველყოფად. ერისათვის ადამიანები სიცოცხლეს წირავენ. პუტინი გაუნათლებელი ნაციონალიზმის მაგალითია. მისი ლოგიკით, ის, რაც კოსოვოში მოხდა, შეიძლება განხორციელდეს ცხინვალის რეგიონშიც.



***— ანექსირებულ ტერიტორიებს დავუბრუნდეთ. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში ისტორია სხვადასხვაა..***

— დიახ, მაგრამ ორივე საქართველოს ძირძველი მიწაა. აფხაზეთი ქართველმა ერმა ფეოდალიზმამდე მიიყვანა. ქართველები აფხაზეთის ავტოქტონური ერია. აფსუები იქ ფეოდალურ ხანაში, ძირითადად, მშვიდობიანად მკვიდრდებოდნენ. ადიღესტომელმა აფსუებმა დაირქვეს აფხაზები, იმიტომ რომ აფხაზეთში დასახლდნენ. მათ არჩევანს ჩვენ პატივს ვცემთ. მიუღებელი იქნება, თუ მათ პრეტენზია ექნებათ, რომ მონათესავე ადიღეელები ჩამოასახლონ აფხაზეთში. ყოფილ აფსუებს ანუ აფხაზებს აქვთ უფლება, თავიანთ ნებაზე და თავიანთი ტრადიციებით მოაწყონ იქ ცხოვრება.

***— ცხინვალის რეგიონში ისევ სვამენ რუსეთთან მიერთების საკითხს.***

— ეს აღმაშფოთებელია. საამისოდ არანაირი საფუძველი, მათ შორის, იურიდიული, არ არსებობს. საერთოდ, ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“ თავიდანვე ბლეფი იყო. ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ფონ კნორინგმა 1802 წელს რუსეთის მეფისადმი გაგზავნილ წერილში. რუსეთის იმპერია ხელოვნურად ამკვიდრებდა ამ დასახელებას იქ, სადაც თითო-ოროლა ოსი თუ იყო. რუსეთის მიზანი იყო, ძალით შეექმნა წარმონაქმნი, კოლონია, რომლის მეშვეობითაც ის ამიერკავკასიაში დამკვიდრდებოდა.

***— ანუ ამიერკავკასიის სახელმწიფოდ გახდომა რუსეთს მაშინვე უნდოდა?***

— დიახ. რუსეთი ამისათვის ახლაც ყველაფერს აკეთებს. ამას რომ მიაღწიოს, რუსეთი გადაუკეტავს გზას აშშ-ს კავკასიისა და შუა აზიისაკენ. ე.წ. სამხრეთ ოსეთი 1922 წლის აპრილის დეკრეტით შეიქმნა. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ეს არ მომხდარა რაიმე დოკუმენტის საფუძველზე. ფაქტობრივად, ე.წ. სამხრეთ ოსეთი შეიქმნა ჰაერიდან. მანამდე რუსები ნერგავდნენ სიტყვას „ოსეტინსკი“, რომელიც კავშირში იყო როგორც ოსებთან, ისე ოსეთთან.

***— საერთაშორისო ორგანიზაციებზე ეს ისტორია იმოქმედებს?***

— ჩვენ ჩვენი უნდა ვცადოთ, უნდა ვიაქტიუროთ. სამწუხაროდ, ამ საკითხზე არსებობს ეუთოს ერთი დადგენილება. 1994 წელს მიღებული ეს დადგენილება უსამართლოა. მისი შინაარსი ასეთია — ეს მიწა თქვენია, მაგრამ ოსებს მიჩვეულს ნუ გადავაჩვევთო. მაშინ ეუთოს ამ პოზიციას 51 კაცი გამოვეხმაურეთ. აქედან 49 დეპუტატი ვიყავით. არადეპუტატები შოთა ნადირაშვილი და კაკო ბაქრაძე იყვნენ.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# განცხადებები

## იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

## მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# თამაზ ჭილაძის 85 წლის იუბილე ზუგდიდში აღინიშნა



ქართველი მწერლის, დრამატურგისა და პუბლიცისტის თამაზ ჭილაძის 85 წლის იუბილე ზუგდიდში აღინიშნა. საიუბილეო საღამო ზუგდიდის კულტურის ცენტრში „ოდიში“ გაიმართა. საღამოს მწერალი მეუღლესთან, თინა ჭილაძესთან ერთად დაესწრო.

ცნობილ ქართველ მწერალს თამაზ ჭილაძეს დღეს 85 წელი შეუსრულდა. არაერთი პოეტური კრებულის, ესეებისა და კრიტიკული წერილების ავტორის წიგნები 50-იანი წლებიდან გამოიცემა.

შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთლის და სხვა არაერთი ლიტერატურული პრემიის ლაურეატის ნაწარმოებები თარგმნილია მრავალ ენაზე. მისი პიესების მიხედვით სპექტაკლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თეატრებში იდგმება.

დასავლეთ გერმანიის რადიომაუწყებლობამ დრამატურგს პიესისთვის „სამოთხის კვარტეტი“ პირველი პრემია მიანიჭა. მწერლის სახელი შეტანილია მსოფლიოს გამოჩენილ პიროვნებათა დიდი ბრიტანეთის ენციკლოპედიურ ცნობარში, აგრეთვე ევროპის გამოჩენილ პიროვნებათა კრებულში.

თამაზ ჭილაძის იუბილესთან დაკავშირებით, გამოიცა სპეციალური წიგნი-ალბომი, სახელწოდებით „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, რომელიც თამაზ ჭილაძის ძმის, მწერლის, დრამატურგისა და პუბლიცისტის ოთარ ჭილაძის ხსოვნას მიეძღვნა.

ზუგდიდის კულტურის ცენტრში თამაზ ჭილაძის პიესის მიხედვით სპექტაკლი „ნადირობის სეზონი“ გათამაშდა, რომელიც რუსთაველის თეატრში რობერტ სტურუამ დადგა.

– თამაზ ჭილაძის 85 წლის იუბილე უმნიშვნელოვანესია მთელი საქართველოსთვის. ბედნიერი ვარ, რომ მისი პირველი მილოცვა მოხდა სამეგრელოში, – აღნიშნა რობერტ სტურუამ.

– მისი ნაწარმოებების მიხედვით დადგმულ ორ სპექტაკლში მომიწია მუშაობა. ვულოცავ იუბილეს, ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს და დიდხანს ჩვენს გვერდით ყოფნას. თამაზ ჭილაძისნაირი ადამიანები ძალიან ცოტაა და დიდხანს უნდა ჰყავდეს საქართველოს, – განაცხადა მსახიობმა გოგა ბარბაქაძემ.

# შინდისის გმირები მსოფლიო ყურადღების ცენტრშია



შინდისის გმირები და მათი თავგანწირვა უკვე გახდა ქართული საზოგადოებისთვის მისაბაძი მაგალითი. მსახიობმა, რეჟისორმა და პროდიუსერმა ედმონდ მინაშვილმა მათ გმირობაზე გადაიღო ფილმები „შინდისის გმირები“ და „რუსული დერეფანი“.

შინდისის გმირებზე მხატვრული ფილმის გადაღებები დაიგეგმა, რომელიც საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის კო-პროდუქცია იქნება. „შინდისი“ – ასე ეწოდება ფილმს, რომლის გადაღებებისთვის რამდენიმე კომპანია გაერთიანდა. ფილმის რეჟისორია ნიკა აგიაშვილი, სცენარის ავტორი ირაკლი სოლომანაშვილი, კომპოზიტორი გია ყანჩელი. ფილმში მონაწილეობას მიიღებენ მერაბ ნინიძე, მიშა გომიაშვილი, ია სუხიტაშვილი, დათო ბახტაძე.

მხატვრულ ფილმში მოქმედებები 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სოფელ შინდისში ვითარდება. 11 აგვისტოს სოფელ შინდისის სარკინიგზო სადგურთან საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეული უთანასწორო ბრძოლაში ჩაება რუსულ მოტომსროლელ ასეულთან, რომელიც სადგურის ახლოს იყო ჩასაფრებული. 17-მა ქართველმა მებრძოლმა მტერს წინააღმდეგობა ბოლომდე გაუწია და გმირულად დაიღუპა.

ახალ მხატვრულ ფილმს უკვე გამოეხმაურა მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი გამოცემა ვარიეტი, რომელმაც საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის კო-პროდუქციას ვრცელი სტატია მიუძღვნა.

# კახი კავსაძე ახალ ფილმში გადაიღეს



„ძმა“ – ასე ეწოდება ახალ ქართულ ფილმს, რომელშიც ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი კახი კავსაძე გადაიღეს. ფილმის პრემიერა კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართა. ფილმის საერთაშორისო პრემიერა როტერდამის კინოფესტივალზე 2014 წელს შედგა. მას შემდეგ ფილმმა არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო კინოფესტივალი მოიარა და ფრანგულ კინოგაქირავებაშიც ჩაეშვა.

ფილმი 90-იანი წლების თბილისზე მოგვითხრობს, სადაც ტონი მონტანას და ვიტო კორლეონეს ისტორიებით გატაცებული 17 წლის გიორგი ცდილობს, მის უმცროს პიანისტ ძმას ოცნებების ახდენაში დაეხმაროს.

ფილმში მთავარ როლებს კახი კავსაძე, ირაკლი რამიშვილი, ზუკა ცირეკიძე, ნატაშა შენგელაია და ელენა გლურჯიძე ასრულებენ.

„ძმა“ საქართველო-საფრანგეთის კოპროდუქციაა. იგი ეროვნული კინოცენტრის და სხვადასხვა უცხოური ფონდებისა და ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. ფილმის რეჟისორები არიან თეონა და ტიერ გრენადეები, ხოლო პროდიუსერები მარი-პიერ მასია, ჟულიეტ ლეპუდლ, ზურაბ მაღალაშვილი და სულიკო წულუკიძე. ფილმის პრემიერას რეჟისორებიც დაესწრნენ. ისინი სპეციალურად ამ დღისთვის საქართველოში საფრანგეთიდან ჩამოვიდნენ.

ფილმის ნახვის შესაძლებლობა საქართველოს კინოთეატრებში მაყურებელს 2-3 კვირის განმავლობაში ექნება.

# ია სუხიტაშვილი მიშა მესხს დაშორდა



რუსთაველის თეატრის მსახიობი ია სუხიტაშვილი მიშა მესხს დაშორდა. როგორც იამ ჟურნალისტებს განუცხადა, წყვილი უკვე 7 თვეა, ერთად აღარ ცხოვრობს.

ია და მიშა 6 წლის წინ დაქორწინდნენ. მათი ქორწილი ბათუმში გაიმართა. ჯვრისწერა და ქორწილი წყვილს უახლოესმა მეგობრებმა მოუწყვეს. შეყვარებული ია მიშამ ფაქტის წინაშე დააყენა და ცოლობა სთხოვა.

სამწუხაროდ, მათი ქორწინება ხანმოკლე აღმოჩნდა. წყვილი ერთმანეთს დაშორდა. ბოლო პერიოდში მიშა რეაბილიტაციის კურსს გადიოდა ერთ-ერთ დაწესებულებაში, ია კი თეატრში თამაშობდა.

არც ერთ მხარეს არ სურს განშორების მიზეზებზე საუბარი. ია აცხადებს, რომ ეს მისი საბოლოო გადაწყვეტილებაა და მის შეცვლას არ აპირებს.

# რობერტ სტურუა: „ღირს კი ემსახურო ამ ერს?!“



– ღირს კი ემსახურო ამ ერს?! – ასეთ შეკითხვას სვამს რეჟისორი რობერტ სტურუა და პასუხსაც თავად სცემს.

რობერტ სტურუა:

– ღირს კი ემსახურო ამ ერს?!

საქართველოში ერთადერთი კაცი აღმოჩნდა, ვინც უსასყიდლოდ უნაწილებს თავის ერს, სხვა სამყაროში თავისივე ოფლით მოპოვებულ სიმდიდრეს, გზები, ბუნების მოვლა, უფასო ექიმობა და ა.შ., ხოლო უნიჭო, უმეცარი, უმადური, გათათქარიძებული ერი ამ კაცის განადგურებაზე ოცნებობს! ო, წიწამურო – ქართველი კაცის ოცნებავ!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# დათო ხუჯაძე გროზნოში დააჯილდოვეს



მომღერალი დათო ხუჯაძე, რომელიც რუსეთსა და საქართველოში ერთდროულად მოღვაწეობს, გროზნოში დააჯილდოვეს. ამის დამადასტურებელი ფოტოები მომღერალმა ინტერნეტში გაავრცელა.

ხელოვანი, რომელსაც არც მაყურებლის სითბო და ყურადღება აკლია და არც პრემიები და ჯილდოები, კიდევ ერთი საპატიო პრიზის მფლობელი გახდა.

დათო ეთნომუსიკალურმა ტელეკომპანიამ „მეცხრე ტალღა“ რიგით მეხუთე ყოველწლიურ დაჯილდოების ცერემონიალზე საპატიო სტუმრის სტატუსით მიიწვია. მომღერალი ეთნიკურ მუსიკაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დასაჩუქრდა.

დაჯილდოების ცერემონიალი გროზნოში გაიმართა, სადაც კავკასიის საუკეთესო ხელოვანები ორგანიზატორებმა ერთ სცენაზე შეკრიბეს.

დათო ხუჯაძე, რომელიც რუსეთშიც არანაკლებ პოპულარულია, სპეციალური პრიზით და დიპლომით დაჯილდოვდა.

# ქართველმა გოგონამ რუსული შოუ მოიგო



„მოდი ვიქორწინოთ“ – ასე ეწოდება შოუს, რომელიც ქართველმა გოგონამ მოიგო.

29 წლის მარია შარაბიძე რუსული შოუს გამარჯვებული გახდა. ახალგაზრდა დიზაინერი რუსეთში ამ შოუში მონაწილეობისთვის გაემგზავრა და გამარჯვებაც მოიპოვა. მარია პირველი ქართველი მონაწილე გახდა, ვინც შოუში ჩაერთო და მისი მონაწილეობა წარმატებით დასრულდა.

პროექტში სულ სამი გოგონა მონაწილეობდა და მამაკაცს მათგან ერთ-ერთი უნდა აერჩია. მონაწილე მამაკაცი წარმოშობით ლატვიელი ედგარ კორესილია და 42 წლის არის. 4 საათიანი ჩაწერა სხვადასხვა კითხვების დასმით გაგრძელდა და ედგარმა ქართველი დიზაინერი აირჩია.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**




მსოფლიო ფეხბურთის საუკეთესო წარმომადგენლებს ფეხბურთის თამაში და გულშემატკივრის გახარება დიდი ფიზიკური ტკივილის ხარჯზე უწევთ.

მეტიც, სადღეისოდ მსოფლიოს 2 საუკეთესო ფეხბურთელს ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა. ლიონელ მესის ექიმები გაზრდის იმედსაც ვერ აძლევდნენ. რონალდუს კი, გულის პრობლემები ჰქონდა და ექიმებმა ფეხბურთისთვის თავის დანებება ურჩიეს...

**ლიონელ მესი, არგენტინა**

„ოქროს ბურთის" 5-გზის მფლობელი და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი მშობლიურ როსარიოში დიდი წარმატებით დარჩებოდა ჩაის გამყიდველად. საქმე იმაში გახლავთ, რომ არგენტინელს ზრდის ჰორმონების ნაკლებობა დაუდგინდა. ლეოს გაზრდა თუ უნდოდა სიმაღლეში, თერაპია უნდა გაევლო, რომლის ღირებულება თვეში 900 დოლარი იყო. ოჯახს, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა. მესის საფეხბურთო ნიჭმა უშველა. სკაუტებს არ გამოპარვიათ ფეხბურთელის ნიჭი და მალე ესპანეთში გადაბარგდა საცხოვრებლად. მამამისის დარწმუნება იოლი არ იყო.

ბარსელონას სპორტულ დირექტორს ძალიან მოეწონა მესის შესაძლებლობები და დათანხმდა წელიწადში 90 000 დოლარი დაეხარჯა მის მკურნალობაში. საბოლოოდ, მესი 169 სანტიმეტრი გაიზარდა და პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელადაც იქცა.

**კრიშტიანუ რონალდუ, პორტუგალია**

პორტუგალიელ ვარსკვლავს 15 წელი რომ შეუსრულდა, ექიმებმა 3-4 თვით ფეხბურთს ჩამოაცილეს. რონალდუს დიდი ფიზიკური დატვირთვის გამო გულზე ტახიკარდია ჩამოუყალიბდა. ფეხბურთელს მხოლოდ ოპერაციის გაკეთებამ უშველა.

— ეს არ იყო მარტივი ოპერაცია. ლაზერის დახმარებით შეძლეს ექიმებმა ავადმყოფობის დამარცხება, — იხსენებს ლუიშ მარტინესი რონალდუს მწვრთნელი სპორტინგის აკადემიაში.

ახლა კი რონალდუ რეალის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირია. პორტუგალიელი „ოქროს ბურთის" სამგზის მფლობელია და ჩემპიონთა ლიგის 2-გზის გამარჯვებული.

**ტიაგუ სილვა, ბრაზილია**

ბრაზილიელი მცველისთვის ძალიან რთული გამოდგა დიდ ფეხბურთში მოხვედრა. 20 წლის ასაკში მას ტუბერკულიოზი დაუდგინეს.

— საავადმყოფოში ვიწექი და ვგრძნობდი, რომ სულ მშიოდა. დედა მეუბნებოდა, რომ ავადმყოფის იერი არ მქონდა, მაგრამ მე გავლაც არ შემეძლო. ექიმები სეირნობას მირჩევდნენ, მაგრამ ძალა არ მქონდა. საბოლოოდ, ინექციების გაკეთება დამიწყეს და დღეში 10-15 ტაბლეტს ვსვამდი. ამ პერიოდს ხშირად ვიხსენებ. ერთხანს ფეხბურთისთვის თავის დანებებასაც ვფიქრობდი, — იხსენებს სილვა.

ამის შემდეგ ბრაზილიელი სამშობლოში დაბრუნდა და საფეხბურთო კარიერაც იქ გააგრძელა. ფლუმინენსეში 5 წელი გაატარა და იქიდან მოხვდა მილანში, სადაც იტალიის ჩემპიონიც გახდა. ამის შემდეგ კონტრაქტი პსჟსთან გააფორმა და მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ჩამოყალიბდა.

სამწუხარო ამბავი კი ის გახლავთ, რომ ბრაზილიის ნაკრებისა და სილვას გზები გასულ წელს გაიყარნენ. ნაკრების მთავარი მწვრთნელი დუნგა პირადი მოსაზრების გამო ტიაგუს აღარ იძახებს.

**დევიდ ბექჰემი, ინგლისი**

ჯერ კიდევ ბავშვობაში დევიდს ექიმებმა ასთმის დიაგნოზი დაუდგინეს, თუმცა ამ დაავადების შესახებ 2009 წლამდე არავინ არაფერი იცოდა. დევიდმა შეძლო ამ დაავადებასთან ადაპტირება. მან გაიარა სუნთქვითი თერაპია და ჩუმად ინჰალატორსაც მოიხმარდა.

მასმედიაში ეს ამბავი 2009 წელს გავრცელდა, რაც ბექჰემმა დაადასტურა:

— დიახ, ასთმით ვარ დაავადებული უკვე მრავალი წელია. რატომ არ გავახმაურე ეს ამბავი? რადგან ამისთვის მიზეზი არ არსებობდა. რატომ უნდა მესაუბრა ამაზე? საერთოდაც მე მაქვს ეს დაავადება, მაგრამ ეს თქვენ რატომ გაღელვებთ? — ასე უპასუხა ბექჰემმა კითხვას.

**ედგარ დავიდსი, ჰოლანდია**

შუა 90-იან წლებში ედგარ დავიდსმა თავის ტრავმა მიიღო, რის გამოც გლაუკომა განუვითარდა. ფეხბურთელს ჯერ მარცხენა თვალზე გაუკეთდა ოპერაცია, შემდეგ მარჯვენაზე, თუმცა მხედველობა ბოლომდე ვერ აღუდგინეს.

ედგარმა გამოსავალი იპოვა: ფიფაში მივიდა და ნებართვა ითხოვა, რომ მოედანზე სათვალით გასვლის უფლება მიეცათ. ჰოლანდიელის საფეხბურთო კარიერა სათვალით 15 წელს გაგრძელდა. ის იტალიის ჩემპიონი გახდა, ასევე მოიგო იტალიის თასიც. ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად 2004 წელს ნახევარფინალამდე მიაღწია. საფეხბურთო კარიერა კი 2014 წელს დაასრულა.

**დიდიე დროგბა, კოტ დიუვარი**

14 წლის იყო დიდიე, პირველად მალარია რომ შეეყარა. ფეხბურთელი მძიმე ავადმყოფობას მალევე მოერია და ფეხზეც სწრაფად დადგა. მეორედ მალარიამ თავი 2010 წელს შეახსენა.

— ეს კოშმარი იყო. ვერ აღგიწერთ, სადამდე დავიდა დიდიე. დაკარგა ფიზიკური ფორმა, სისწრაფე, მასა, — იხსენებს კარლო ანჩელოტი, რომელიც მაშინ ჩელსის მთავარი მწვრთნელი იყო.

დროგმა სამი თვის განმავლობაში მკურნალობდა. წელიწადნახევრის შემდეგ კი ჩელსიმ მისი დიდი დამსახურებით ჩემპიონთა ლიგის თასი აღმართა — „არისტოკრატებმა" „ალიანც არენაზე" ბაიერნი" დაამარცხეს.

**არიენ რობენი, ჰოლანდია**

2004 წელს პერსპექტიული და სწრაფი ჰოლანდიელი ჩელსიში გადავიდა სათამაშოდ, თუმცა მალევე იგრძნო დისკომფორტი — არა სათამაშო, არამედ ფიზიკური. ფეხბურთელს სათესლე ჯირკვლის სიმსივნე აღმოაჩნდა. ექიმები დიდხანს იკვლევდნენ, სიმსივნე კეთილთვისებიანი იყო თუ არა.

— ძალიან შემეშინდა, რომ ფეხბურთის თამაშს ვეღარ შევძლებდი, — ამბობს რობენი, რომელმაც მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში 2013-14 წლების სეზონში გადამწყვეტ გოლს თვითონ გაიტანდა.

სიმსივნე განკურნებადი აღმოჩნდა, მკურნალობამ უშველა, თუმცა თმის შენარჩუნება ვეღარ მოხერხდა. მას მელოტი თავი სულაც არ უქმნის დისკომფორტს და თავს ბედნიერად გრძნობს.

# დელ ბოსკე, გვარდიოლა, დი მატეო, ზიდანი — სადებიუტო ჩემპიონები

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ისეთ მწვრთნელებზე, რომლებმაც ეს ტურნირი მთლიანად დიდ ფეხბურთში მათი სამწვრთნელო სადებიუტო სეზონის დროს მოიგეს. ასეთი 4 მწვრთნელია: ვისენტე დელ ბოსკე (რეალი 1999-2000), ხოსეპ გვარდიოლა (ბარსა 2008-09), რობერტო დი მატეო (ჩელსი 2011-12) და ბოლოს, რეალის ამჟამინდელი დებიუტანტი მწვრთნელი ზინედინ ზიდანი.

ამ ოთხ მწვრთნელს კიდევ ერთი რამ აერთიანებთ — ესენი ყველა არიან იმ გუნდის წიაღიდან, რომლის მთავარი მწვრთნელებიც გახლდნენ.

### ვისენტე დელ ბოსკე

1999 წლის ნოემბრის ბოლოს, როცა უელსელმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა რეალი დანგრევის პირას მიიყვანა და ლა ლიგის სატურნირო ცხრილში ათეულს ქვემოთ იყო, მაშინდელმა პრეზიდენტმა ლორენცო სანსმა იძულებითი და ამავდროულად მეტად გაბედული ნაბიჯები გადადგა. მწვრთნელის პოსტიდან გადააყენა ტოშაკი და მის ნაცვლად დანიშნა კასტილიის მწვრთნელი დელ ბოსკე, რომელსაც მანამდე უმაღლეს დონეზე მწვრთნელობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა.

იმ დროისთვის სეზონი უკვე დაკარგული იყო და მადრიდისტებს აღარაფრის იმედი ჰქონდათ. ყველაზე ოპტიმისტ მადრიდისტიც კი ვერ ინატრებდა თამამ ოცნებაში ლიგის მოგებას, მაგრამ დელ ბოსკემ სასწაული შეძლო.

რეალმა ჯგუფიდან მეორე ადგილით გააღწია მეოთხედფინალში, სადაც ფორტუნამ ლიგის ჩემპიონ მანჩესტერ იუნაიტედს დააჯახა. ვისაც არ ახსოვს ამ მატჩის პერიპეტიები, გეტყვით, რომ მადრიდში უგოლო თამაშის შემდეგ რეალმა სტუმრად 4:3 მოუგო ინგლისელებს.

მანჩესტერული ბარიერის დაძლევის შემდეგ ნახევარფინალში რეალს არანაკლებ მრისხანე მოწინააღმდეგე, კიდევ უფრო ძლიერი ევროპული გრანდი ბაიერნი შეხვდა. ბაიერნმა ჯგუფურ ეტაპზე ორივე მატჩი მოუგო რეალს: მიუნხენში 4:1 და მადრიდში — 4:2.

„ულვაშა" მწვრთნელი აქაც სასწაულს ახდენს და რეალი ფინალში გაჰყავს, სადაც იმ დროისთვის ეპოქალურ ვალენსიას ხვდება. ესპანურ დერბიში კი რეალმა დიდი ანგარიშით, 3:0 მოიგო.

ეს ყველაფერი სიგიჟეს და ამავდროულად ზღაპარს ჰგავდა. ეს იყო სასწაული სიხარული და კაპიტნების მანოლო სანჩესის და ფერნანდო იეროს თავზე აღმართული მერვე ჩემპიონთა ლიგის თასი.



დელ ბოსკემ ლიგის მოგება მადრიდის რეალთან ერთად 2001-02 წლის სეზონშიც შეძლო, ხოლო 2010 და 2012 წლებში ფურია როხას ჯერ მუნდიალი, შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატები მოაგებინა.

### ხოსეპ გვარდიოლა

როდესაც 2008 წლის ზაფხულში ბარსა-ატლეტიკის მწვრთნელი პეპ გვარდიოლა ბარსას მწვრთნელად დაინიშნა, დელ ბოსკესთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ბარსა პირველივე დღიდან მოყოლებული მან მოამზადა სეზონისთვის და ტრანსფერებიც თავისი გემოვნებით გაჩარხა. თუმცა, ეს მის ღვაწლს არანაირად არ აკნინებს, მით უფრო, დიდ ფეხბურთში შესვლასთან ერთად მხოლოდ ლიგა კი არა, ტრიპლეტიც მოიგო.

პეპმა ხელახლა დანერგა და ზენიტში აიყვანა კრუიფის მიერ შექმნილი ტიკი-ტაკა და ბარსას მოწინააღმდეგე კლუბებს არანაირი იარაღი არ ჰქონდათ ამ სრულყოფილამდე შესრულებული საფეხბურთო საოცრების წინააღმდეგ.

გვარდიოლას არა მხოლოდ დიდი მწვრთნელი, არამედ გენიოსი შეგვიძლია ვუწოდოთ. ფეხბურთის ფანების დაახლოებით 90% იმაზე თანხმდება, რომ პეპიმ შექმნა ეპოქალური ბარსა, რომლითაც ლიგა უკვე მეორედ ასევე 2010-11 წლებშიც მოიგო.

### რობერტო დი მატეო

2012 წლის ზამთრის ბოლოს დი მატეოს დანიშვნა ჩელსის მთავარი მწვრთნელის პოსტზე მოხდა იმ პერიოდში, როდესაც მწვრთნელებს უკვე აღარ ცვლიან და შედეგის მიუხედავად, სეზონის ჩამთავრების უფლებას აძლევენ.

თებერვლის ბოლო იდგა, როდესაც ჩემპიონთა ლიგის პირველ მერვედფინალურ მატჩში სტუმრად ნაპოლისთან 1:3 წაგებამ, აბრამოვიჩს მოთმინების უკანასკნელი ძაფი გაუწყვიტა და ანდრე ვილაშ ბოაში გუნდიდან გააგდო. ერთი შეხედვით დემორალიზებულმა ჩელსიმ, ვისი იმიდიც მაშინ აღარავის ჰქონდა, განმეორებითი შეხვედრა 2:0 მოუგო ნაპოლის და მეოთხედფინალში გავიდა. ამას მოყვა ბენფიკას ბარიერის დაძლევა, ხოლო ნახევარფინალში სწორედ გვარდიოლას ეპოქალური ბარსა დაამარცხა.

მაშინ, როდესაც ყველა დადარაჯებული ელოდა არისტოკრატების მოსალოდნელ მარცხს, ლურჯები კი საოცრებებს გვთავაზობდნენ.

საოცრება იყო თავად ფინალი, სადაც ბაიერნი არა ნეიტრალურ, არამედ საკუთარ ალიანს არენაზე მასპინძლობდა ტრავმებისგან და დისკვალიფიკაციებისგან განახევრებულ ჩელსის. არისტოკრატებმაც ბავარიის მიწაზე ლიგის თასიც დამსახურებულად აღმართეს. მაშინვე დაიწყო პრესამ დი მატეოზე ათასნაირი ამბების წერა და დიდებით ზეცაში აჰყავდათ.

თუმცა, იყო ჭორებიც: 1. დი მატეომ მხოლოდ ერთი რამ გააკეთა, ძირითადში დააბრუნა ბოაშის მიერ ათვალისწინებული ლამპარდი და ამით ყველანაირი პრობლემა მოიხსნა. 2. ამბობდნენ, რომ მაშინ ჩელსის მწვრთნელი არა დი მატეო, არამედ დიდიე დროგბა გახლდათ და გასახდელშიც მხოლოდ მისი რჩევა-დარიგებები ისმოდა.

მეორე ჭორს ის ამძაფრებს, რომ მომდევნო სეზონიდან დროგბა ჩელსის ფეხბურთელი აღარ იყო, ხოლო დი მატეო შემოდგომაზე გაათავისუფლეს უსახური და უხარისხო ფეხბურთის გამო და ჩელსიმაც იმდენი ქულა გაანიავა, რომ ჩემპიონობის შანსები პირველი წრის დასრულებამდე მოსპო. მას მერე ბევრი წელი გავიდა, დი მატეოს კი იოტისოდენა წარმატებისთვისაც აღარ მიუღწევია.

### ზინედინ ზიდანი

ამა წლის 3 იანვარს რეალისა და მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა რეალის მწვრთნელად დაინიშნა, გუნდის მთელი სისტემა მოშლილი იყო. ბენიტესმა იმდენი შეძლო, რომ რეალს მისი ფილოსოფიისთვის არადამახასიათებელი ფეხბურთი ათამაშებინა, არადა თავადაც მადრიდისტია და დეტალურად უნდა სცოდნოდა ინჩადას მოთხოვნა.

რეალი გახლდათ სრულ დეპრესიაში და ყველანაირი სათამაშო დისციპლინა მოშლილი იყო. ამას ემატებოდა რაფას კონფლიქტები ხამესთან, ისკოსთან და ხესესთან. ზოგადად კი რაფას კარგი დამოკიდებულება ძირითადად მეორეხარისხოვან ფეხბურთელებთან ჰქონდა. მოკლედ, მტერსა თუ მოყვარეს ეგონა, ეს დასასრულის დასაწყისი იყო.

ამ დროს გუნდში მივიდა კასტილიის მწვრთნელი ზიდანი და გულში მომავლის იმედმაც დაისადგურა. ზოგი აშკარა მხარდაჭერით, ზოგი კი მაინც შიშით იყო გამსჭვალული, რადგან მას არანაირი სამწვრთნელო გამოცდილება არ ჰქონდა დიდ ფეხბურთში.

ზიზუმ ჯოჯოხეთური შრომა გასწია და პირველ რიგში სათამაშო მსოფლმხედველობა შეცვალა. რეალმა კომბინაციურ ფეხბურთს უფრო მეტი დრო დაუთმო. თანდათან „ფიზიკასაც" მიხედა და უკვე აქტიურად შეძლო პრესინგის თამაში მთელს მოედანზე. გაიზარდა გუნდის შედეგიანობა. ზიზუმ ასევე ჭკვიანურად განახორციელა როტაციები, რაც სამწუხაროდ, მისმა მასწავლებელმა, კარლო ანჩელოტიმ ვერ შეძლო.

მიუხედავად მცირე ჩავარდნებისა, რეალი საკუთარ თავში დაჯერებული გახდა. ამის ბოლო აკორდი კი ლა ლიგაში ბოლო 12 ტურიდან მოპოვებული ქულათა მაქსიმუმი — 36 ქულა იყო და ეს ყოველივე არაოპტიმალური შემადგენლობის ფონზე მოხდა.

ზიზუს კიდევ ერთი დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა ის არის, რომ თავიდანვე მეგობრული ურთიერთობა დაამყარა გასახდელში და რეალი ერთ მუშტად შეკრა. რომ არა ასეთი სულისკვეთება, კრახი გარდაუვალი იყო.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ორშაბათი 6 ივნისი

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 09.15 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 დ/ფ "თოფ-გიარი" 12.30 "ფერმა" 13.00 ტ/სერ. "ჩენტო ვეტრინე" 14.05 "მუსიკოლოგოსი" 14.30 ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" 15.00 დ/ფ "ენტონი ბურდეინი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "ქესლი" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.40 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.10 "რეალური სივრცე" 22.00 "სპორტი გიორგი ზურაბიშვილთან ერთად" 23.00 ტ/სერ. "ბანქოს სახლი" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "სუფთა ფურცელი" (ჯ.ტეპლიცკი) 03.10 "პირადი ექიმი"

08.00 დ/ფ "ნამდვილი პანამა" 09.00 მხ/ფ "ქრისთი დაბრუნება ქათერ გეფში" 10.30 დ/ფ "ტაილანდი" 11.00 ქართ მხ/ფ "რაჭა ჩემი სიყვარული" 12.30 დ/ფ "პერუ" 13.00 დ/ფ "პროფესორ ომიშინის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" 14.00 "ეპიცენტრი" 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ "ვატიკანის ნამდვილი ძალაუფლება" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 23.00 "ნამდვილი დრო"

